

# საქართველო გაყვითი

№13 (694)  
ოთხშაბათი  
26 აპრილი,  
2023წ.  
ფასი 1.50 ლ.

ვისთვისაც ძვირფასია საქართველო და მისი მომავალი, ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ვისაც არ გვსურს მონობაში ცხოვრება, ვისაც გვსურს მშვიდობა და კეთილდღეობა, მოგიწოდებთ ყველას, რომ შევიკრიბოთ და ვაჩვენოთ მთელს მსოფლიოს საქართველოს მოსახლეობის ურყევი ნება!!!

## მოპოვიპარ!

### მშვიდობისათვის

ვიკრიბებით 30 აპრილს, 18 საათზე,  
ჩესპუბლიკის მოედანზე



„როდესაც ტელევიზიით უყურებ, როგორ უნდათ დაანგრიონ ქვეყანა საზოგადოების სახელით, საქართველოს სახელით და საზოგადოება და საქართველო არ ჩანს, ეს, ცოტა არ იყოს, უხერხულია. ვფიქრობ, რომ დროა, ავანსცენაზე მთავარ როლში გამოვიდეს და დაიბრუნოს თავისი ღირსეული ადგილი, უნარი, შნო, თავისი მორალური და ზნეობრივი საყრდენებით, საზოგადოებამ. არ შეიძლება მუდმივად საზოგადოების აზრი იყოს იგნორირებული.“

ზაზა პაპუაშვილი



ველაფერი ახალი, კარგად დაფიქრებული ძველიაო, მაგრამ ის, რასაც ახლა მოგახსენებთ, ავტო ახლახან იყო, 2015 წელს.

„მთავრობაზე დიდი არასამთავრობოები რომ არიან, უფრო სწორად, პიროვნებები: ლომჯარია („სამართლიანი არჩევნები“), კოჭორიძე („საია-ს“ ყოფილი თავმჯდომარე, ამჟამად პრეზიდენტის ერთ-ერთი მრჩეველი) და გიგაური („საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო“) — ჩვენ საინტერესო კვლევას დავდებთ მათზე. ძალიან ბევრი კითხვა

გვაქვს. თვითონ მათზე გვაქვს კითხვები, რამდენადც ტაბუ დაადგეს რაღაც საკითხებს — არასამთავრობოებს ვერ შეეხებოდით, ასევე, ცდილობდნენ, რომ პრეზიდენტის ინსტიტუტი არ გაგვეკრიტიკებინა — ამის უფლება გვაქვს!“ — თქვა ბიძინა ივანიშვილმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია, რა კითხვები აქვს და ვინც მეტ-ნაკლებად გამგები იყო ამ ფრაზების, ყველა ახმაურდა, ზოგს გულშემოყვარა, ზოგს გულსმოყვინა...

საკითხავია, რატომ გააღიზიანა ცალკეული პირები ექსპრემიერის სიტყვებმა?

# მიღგაპრთალი კვინიყაიიბი და კვინისგაჟხეიბი

იქნებ ვინმე უარყოფს იმ რეალობას, რომ საქართველოს საკუთარი არც პოლიტიკური ხედვის უფლება აქვს და არც რაიმე კუთხით შეუძლია ერთი ნაბიჯის გადადგმაც კი აშშ-ის უკითხავად?

ბატონმა ივანიშვილმა ხალხს დაუდგო ყური და მისი სურვილი გაახმოვანა, თორემ

კრებაზე თეატრის მოღვაწეთა კავშირში (მსახიობის სახლი), როდესაც ის თქვა პოეტმა, რასაც სხვაგვარად ფიქრობდა და მიზეზთა გამო თქმისგან თავს იკავებდა. (დემთმა გაანათლოს მისი სული!)

ვახტანგ ხარჩილავა (ამონარიდი გამოსვლიდან): „ჩვენ ხანდახან მხოლოდ ვფიქრობთ ხოლმე — ავირჩევთ რაღაც ხელისუფლებას და შემდეგ ჩვენს მოვალეობებს, მიზნებს და ამოცანებს გადავაბარებთ ადამიანების რაღაც ჯგუფს, ჩვენ კი შორიდან მაყურებლად ვიქცევით. ასე არაფრით არ შეიძლება, რადგან, რაგინდ დიდი და ძლიერი იყოს სახელისუფლო ძალები, მათ სჭირდებათ ხალხის თანადგომა და ხალხის თანამონაწილეობა.“

ჩემდა გასაკვირად და გასაოცრად (ალბათ, აქვს ამას თავისი მიზეზები), 1 ოქტომბრის შემდეგ, როდესაც გვეგონა, რომ ჩვენი გამარჯვების შემდეგ ის პრობლემები, რაც ქართველი ხალხის წინაშე იდგა და რასაც ჩვენ, თითოეული თქვენთაგანი და მთლიანად ქართველი ხალხი ეწინააღმდეგებოდა ამ 12 წლის განმავლობაში, მოიხსნებოდა დღის წესრიგიდან, სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ალბათ, დამეთანხმებით, რომ სწორედ ის ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც შემჩნეულნი იყვნენ ქართველი ხალხის ინტერესების საწინააღმდეგოდ სვლაში, პირუკუ, უფრო გაძლიერდნენ, კიდევ უფრო მძლიერი გახდნენ და ლამის არის, მინისტრებიც კი მათ დაეკინიშნონ. მე ვგულისხმობ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომელიც არის განაყარი „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და ახლა უკვე რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი „თავისუფლების ინსტიტუტი“ გეიტერს ყველა მხრიდან, ეკრანდან, გახეთის ფურცლებიდან, სამთავრობო ტრიბუნებიდან, პარლამენტებიდან და ა.შ.

ჩემთვის დავაფიქსირე, რომ ეს ძალა კი არ გაჩერდა და კი არ მიიძალა, არამედ, პირიქით, წინა პლანზე გამოვიდა და ახალი გაქანებით ცდილობს იმ მიზნების განხორციელებას, რაც ეწინააღმდეგება ქართველი კაცის ბუნებას და ქართული სახელმწიფოს ინტერესებს.

ჩვენ პირდაპირ და გულწრფელად ვთქვათ, ამ ძალების პარპაშს არ მოვიტყვებთ, ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ! ნამდვილად არაფერი არ გვჭირს ჩუგოშვილების, ჯანუშაშვილების და მსგავსი ვიღაცების ჭკუის სასწავლებელი! სამარცხვინო რამ არის, როდესაც ერი ამას ითმენს და კიდევ უარესი, მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენელი რომ მათ მდაბლად უხრის თავს. ეს სამარცხვინო ამბავია და სწორედ დღევანდელი დღე არის დასტური იმისა, რომ ჩვენ ამას არ შეგვძლებს!

ერთი რამ უნდა ვთქვათ — „არასამთავრობო ორგანიზაცია“ სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ის არის საზოგადოებრივი ორგანიზაცია. რეალურად, ეს არის ვიღაცების მიერ

კარგად დაფინანსებული, მძლავრი სტრუქტურის მქონე რაღაც, აგენტურული ქსელის მსგავსი რამ. ჩვენ ვართ განუხლებლები, თითქოს, რაღაც არასრულფასოვნების კომპლექსით ვართ შეპყრობილები და როდესაც რომელიმე არასამთავრობო ორგანიზაცია (რომლის სათაო ოფისი საქართველოს საზღვრებს გარეთაა) რაღაცას გვეუბნება, ჩვენ პასუხს ვერ ვცემთ. კი, რაღაცას ვამბობთ, მაგრამ არ ჩანს ის საჭირო ხმა, ერის ხმა, რომელიც ხმას ჩაკმეიდნებს და ჩააწყვეტინებს აი, ასეთ „ვაი, ჭკუის“ დამირიგებლებს!

ახლა გამოჩნდა, რომ თურმე წინა ხელისუფლება მხოლოდ საკუთარი ნებითა და საკუთარი სურვილით არ მოქმედებდა, ის ასრულებდა რაღაც დაკვეთებს, რაც დღესაც გრძელდება და ამას თუ წერტილი არ დაესვა, გამარჯვების ყიფინას რომ ვცემთ, შეიძლება, სწორედ ახლა დადგეს საბედისწერო მომენტი, საქართველოს ყოფნა-არ ყოფნის საკითხი.“

მას შემდეგ ძალზე ძუნწად თუ ვინმე ამოიღებდა ხმას არასამთავრობო ორგანიზაციების წინააღმდეგ საჯაროდ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებიდან, მხოლოდ ყოფილი პოლიტპატიმრები სვამდნენ კითხვას ხმამაღლა, ვინ არიან სინამდვილეში ეს ე.წ. „არასამთავრობო ორგანიზაციები“, რადგან ძაღლის საკენივით ახსოვდათ, რომ სწორედ ისინი არ ცნობდნენ პოლიტპატიმრებად, ვისაც უპირველესად უნდა დაეცვა მათი უფლებები; ის ადამიანები სვამდნენ ამ კითხვას, ვისაც საკუთარ თავზე ჰქონდა ნაწვნივი მათი სიჩუმე მაშინ, როცა, პირიქით, უნდა ეყვირათ; ის ხალხი სვამდა ამ კითხვას, ვისაც ეს კითხვა ყოველგვარი სისხლხორცულად ქართულისადმი ამ ე.წ. ორგანიზაციების არაქართულმა მიდგომებმა დაასმევინა...

სხვათა შორის, „საია“ იმ არასამთავრობო ორგანიზაციათა შორის იყო 1 ოქტომბრამდე (თავმჯდომარე — თ. ჩუგოშვილი), რომლებმაც ხელი არ მოაწერეს მემორანდუმს, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ საქართველოში პოლიტპატიმრები არიან და ევროსაბჭოს ვედით სპეციალური კომისიის

შექმნას ითხოვდნენ — „საია“-ს მოტივი ასეთი იყო — არ გვაქვს შესწავლილი მათი საქმეები. საპასუხოდ, საქართველოს სასჯელაღსრულების ადგილებში მყოფმა პოლიტპატიმრებმა გააცხადეს განცხადება, სადაც გამოთქვამდნენ გაკვირვებას „საია“-ს მისამართით, რომელმაც ბოლო წლებში 3,5 მილიონამდე გრანტი მიიღო და ამ ხნის განმავლობაში არ შეისწავლა 200-მდე პატიმრის საქმე; რომ წინა ხელისუფლების დროს „საია“ მაქსიმალურად ცდილობდა, თავი აერიდებინა პოლიტპატიმრების პრობლემის არსებობის დაფიქსირებისგან; რომ იმჟამადაც სააკაშვილის ბნელი საქმეების გამოთვრეტლად წარმოჩინდა — განცხადებას ხელს აწერდა 32 პოლიტპატიმარი.

კორუფცია და გრანტები არის სერიოზული ინსტრუმენტი უცხო ქვეყნების დახვეწის ხელში, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება არასამთავრობო სექტორის გავლით ხელისუფლებებში მოსული ძალების მათი გაგლეჩის აგენტებად ჩამოყალიბება, სრულიად ლეგალური გრანტების სისტემა, რომელიც ნჯო-ების მეშვეობით კვებავს ლეგალურ აგენტურას საქართველოში და ყველა პოსტსაბჭოთა (არა მხოლოდ) ქვეყნებში.

„ნჯო“ ბაგა-ბაღის ფუნქციას ასრულებს. მაგალითად, ახალგაზრდა იურიტი ცოლ-ქმარი ამ გზის გაკვლის შემდეგ „რესპუბლიკური პარტიის“ სათავეში ვიხილეთ. ეს პარტია, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა უმუშროებამ ლოიალურად „დაუშვა“, ერთხანს „ქართული ოცნების“ წარმმართველ ძალადაც მოგვეკვლინა (საინტერესოა, რომ პარტიის დამფუძნებლები ლევან რამიშვილთან და გიგა ბოკერიასთან ერთად, ნჯო „თავისუფლების ინსტიტუტის“ დამფუძნებლებიც არიან).

როცა არასამთავრობოებისკენ გადაიქცა შოლტი, ბატონმა ბიძინამ სწორედ მაშინ ამოაყოფინა ბოთლიდან ჯინს თავი...

ახლა კი, „ხალხის ძალამ“ ვფიქრობ, კარგად იცოდა, რა დროს უნდა შემოეტანა ე.წ. რუსული კანონი და სწორედ იმ დროს შემოიტანა-გაიტანა, როცა საჭირო იყო...

ბატონ ივანიშვილსაც ჰქონდა აზრის გამოხატვის თავისუფლება, მით უმეტეს, თუ ბოლო წლების მასშტაბის გადახედვით — ასო-ების დამფინანსებლის ინტერესებისა და საქმიანობის შესწავლას საზოგადოება ითხოვდა და არა ერთი პირი — ივანიშვილი. ბოლო-ბოლო, „გამჭვირვალობა“ რომ ჰქვია, ის ორგანიზაცია მაინც ხომ უნდა იყოს გამჭვირვალობაზე ორიენტირებული...

როგორც წესი, საქმეში სასწრაფოდ ჩართო აშშ-ის მაშინდელი ელჩი რიჩარდ ნორლანდი და განაცხადა, ივანიშვილი ყოველთვის გულახდილია, მისი მოსაზრება კი მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის, მაგრამ, თავის მხრივ, „საია“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ და „სამართლიანი არჩევნები“ მნიშვნელოვანი პარტნიორები არიან აშშ-ის საელჩოსთვის.

დღეა, რა გაიზარა ქართველმა ხალხმა! აშშ-ის პარტნიორები რომ არიან და არა საქართველოსი, ანუ აშშ-ის ინტერესებს რომ იცავენ საქართველოში საქართველოს საზიანოდ, ამაზე ჰქონდათ და აქვთ დადასტურებული ფაქტი საქართველოს მოქალაქეებს და დაიწყეთ გადაძახება... „აშშ-ის ელჩმა დაადასტურა, რომ კოჭორიძე, გიგაური, ლომჯარია და მათი არასამთავრობოები აშშ-ის ოფიციალური აგენტები არიან და ყოველ წელს ფინანსდებიან 30 მლნ დოლარით!“

„აგენტი — აგენტია, ვისაც უნდა იყოს, რუხის იქნება თუ ამერიკის, ორივე მოსამორებელია!“

„ვინც აგენტობს გინიშნავს, ის არ უნდა მოიცდილოს?“

„ეგენი წლებია, მილიონებით ფინანსდებიან უცხო ქვეყნიდან, უბრალო გლეხმა კი, საკარმიდამო ნაკვეთში მოწეული მოსავალი რომ თავის სარჩენად რუსეთში გაყიდოს, ერის მოღალატედ აცხადებენ, „ნაცებთან“ ერთად ეგენიც უნდა დამთავრდნენ!“

„ელჩის რეაქციამ ივანიშვილის კრიტიკულ შენიშვნაზე რიგი არასამთავრობოების მიმართ, დაადასტურა ამ ორგანიზაციების დაქვემდებარებული კავშირი აშშ-ის ხელისუფლებასთან. ანუ, ეს არასამთავრობოები ჩვენთვის არიან არა-სამთავრობოები, თორემ სხვისთვის ძალიანაც სამთავრობოები არიან. მოკლედ, ჩვენი ერთ-ერთი „დაუძინებელი მეგობარი“, აშშ მართავს ამ ტოქსიკურ სამუელს: „ნაცები“, „რესპები“ არასამთავრობოები!“

ფაქტობრივად, ბატონმა ივანიშვილმა ლიად გამოიწვია აშშ-ის წარმომადგენლობა საქართველოში, რაც მსუბუქად რომ არ გაგრძელდებოდა, ცხადი იყო.

ივანიშვილის არსებობა თითზე ჩამოსათვლელმა ადამიანებმა იცოდნენ, როდესაც ხალხი საკუთარი თვალთხედვად და საკუთარი ყურით უსმენდა საეჭვოდ მიჩნეული ასო-ების ნამოქმედარს, ნათქვამს თუ უმოქმედობას მაშინ, როცა თუ ქვეყნის მოკეთებები იყვნენ, ხმის ჩახლევამდე უნდა ეყვირათ;

რა გამჭვირვალობა, რომელი ახალგაზრდა იურისტები და სამართლიანი არჩევნები! მათი ხმა არავის გაუგია იმ ცხრა წლის მანძილზე, საქართველოში რომ ცოდვის კალო იყო დატრიალებული, თითქმის ყოველ მეორე ოჯახს პატიმარი, მოკლული, საპროცესო გარიგებით გამოშვებული, ცემისგან დაინვალიდებული და ა.შ. გაუბედურებული რომ ჰყავდა ხელისუფლებისგან;

მათი ხმა არავის გაუგია, როცა სისხლიანი რეჟიმის შემკვეთ-ადმსრულებლები ვერ ძღებოდნენ ცალკე — უდანაშაულო ადამიანების სისხლით, ცალკე — ადამიანებისა და, ზოგადად, ქვეყნის მარცვით;

მათი ხმა არავის გაუგია, როცა ფარსად ჩატარებული არჩევნების შედეგები იღებოდა. სამაგიეროდ, დიდი მონდომებითა და შემართებით აკრიტიკებდნენ პატრიარქს; არ აძრწუნებდათ მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლის დარბევა და ტაძრების ნგრევა, მაგრამ იცავდნენ და ახალისებდნენ ყველა არამართლმადიდებლის უბრალო დაჩვილებასა თუ ცალკეული სექტანტური ორგანიზაციის მხარგამლას; ფეხზე ეკიდათ ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდები, მაგრამ მკერდით ეფარებოდნენ ქუჩაში გამოშლილ გაურკვეველი სექსუალური ორიენტაციის ადამიანებს — ყველაფერს რა ჩამოთვლის...

ხალხი ყველაფერს ხედავდა, მაგრამ საყოველთაო შიში იყო დასადგურებული და ხმამაღლა ვერავინ ბედავდა სიტყვის თქმას, მხოლოდ კულუარულად საუბრობდნენ გინების ფონზე, მხოლოდ აქა-იქ თუ იტყვოდა ერთ-ორ სიტყვას ვინმე ხმამაღლა და ისიც იქვე რჩებოდა, იმ წრეში — ვის ჰქონდა ორი თავი?

რაც ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯეს და, ფაქტობრივად, საკუთარ ნება-სურვილზე მონდომეს საქართველოს გადაკეთება (ყოველ შემთხვევაში, ყველანაირად ცდილობდნენ და ცდილობენ), საჯაროდ და პირველმა, „საერთო გახეთის“ რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ ამოიღო ხმა. ტაშმა იქუხა დარბაზში საზოგადოება „ლაზარეს“ დამფუძნებელ

# წინ, ჰენრი კუპრაშვილისაგან!

## ბური ოტობიას სააღმშრებო მოხაზილი

ესოდენად არასდროს მომძალეობა ჟინი ჩვენი დედამამშობლოს ბიოგრაფიის გააზრებისას. ესოდენად არასდროს მომძალეობა ჟინი სულიერი თრთოლვით მიფერებოდი მის მძლავრ ქედს და ნაჯაფარ ხელებს. ესოდენად არასდროს მომძალეობა ჟინი, ყველასთვის ნათლად გამეცხადებინა ის თვალუწვდენი მწვერვალები სამომავლო დღეებისა, წინ რომ ელოდება ჩვენს ეთნიკურ ძალას ზეალ თუ ზეგ.

დიახ, ათასწლეულებს მიღმა ჩვენმა ქურუმებმა შექმნეს ზოგადკაცობრიული აღზვევების პროექტი „იბერიკონი“. იგი ემსახურებოდა ფეხზე წამოდგარი ჩვენი პრეისტორიული წინაპარის — ჰომო ერექტუსის სწრაფ დაწინაურებას დროსა და სივრცეში, რომლის ძალისხმევით, სულ რაღაც 50 000 წელიწადში მოაზროვნე ადამიანად — ჰომო საპიენსად ჩამოყალიბდა იგი. ამ ყველაფერს ჩვენ წლების განმავლობაში რადიოლოგიურად ვიკვლევდით აკადემიკოს ფრიდონ თოდუას მითითებებით. მაშინ შევძელით ჰუმბოლდტის ვარაუდი გაგვეძლიერებინა, რომ დედამიწის პირობები სრულყოფილი ინდივიდი პროტობერეტილია. მან გაბმული ბგერით მოახდინა ადამიანის საყლაპავი მილის — ხორხის ვიბრირება და სხეულის სრული ჰარმონიზაცია; მოახდინა ტვინის ნეორონების ჯეროვანი გამოკვება ჟანგბადით და მისცა ტვინის საშუალება, მეტი დრო დაეთმო სამყაროსეული ფასეულობებისთვის. ამ ზნეკითილი პოლიფონიის დაურეგების გზაზე (ჰამლეტ გონაშვილი), ჩვენმა ეთნისმა ისწავლა ნაწილისა და მთელის ღვთიურული კანონებით — ოქროს შუალედით შეთანაწყობა; ისწავლა სამი განსხვავებული ხმის ერთ ჰარმონიაში მოყვანა, ანუ მოახდინა თავისთავის სულიერ-სხეულებრივი სინქრონიზაცია.

არ დასჯერდა ამას და ეს ზენარული მონაპოვარი გენეტიკურ ქვაკუთხედად რომ დარჩენოდა ჩვენს ჯიშ-ჯილაგს, შექმნა ხორუმები და ფერხულეები წრიული ცეკვებით და ამ ცეკვებში სამმაგი, ოთხმაგი ციბრულტები. რადიოლოგიური კვლევებით აღმოჩნდა, რომ ადამიანის მასის (საშუალოდ 70 კგ) ციბრულტის სიჩქარესთან შეფარდების კოეფიციენტი გაცილებით აღემატება დედამიწის მასისა და მისი სიჩქარის (30 კმ/წმ) შეფარდების კოეფიციენტს, რა დროსაც ჩვენი იბერიული წინაპარი გადიოდა დედამიწის მიზიდულობის ზეგავლენისაგან და გენეტიკური სსომიერების უნარს იძენდა.

ამიტომაც სულაც არ არის გასაკვირი, ამისთანა გონების ეთნოსს ბრინჯაოს ხანაში ქვიშის მაგნეტიტის 1400-1600 ცკლსიუს-გრადუსზე გამოდნობით მიეღო რკინა და, აქედან მოყოლებული, რადგანაც რკინის მოძიება უკვე საჭირო არ იყო მალარიოებში. მისი ადგილზე წარმოებით აივსო კოლხი; მაგრამ ნებისმიერ დადებით მოვლენას თან ახლავს გვერდითი მოვლენები და ამ კაცობრიულ აღმოჩენასაც გაუჩინებენ ლუციფერის, ეშმაკის მიმდევრები. რკინა, რომლის კილოგრამი ათი კოლოგრამ ოქროდ ფასობდა, ქვეყნების წასისინების, ომების ინს-

პირიების საფუძველთა საფუძველი გახდა.

ზღვასავით შემოედინებოდა ისედაც ოქრომრავალ კოლხეთში ოქრო, პური და ღვინო დანარჩენი მსოფლიოდან, თავად ჩვენ კი გადავეჩვიეთ ტრადიციულ მევენახეობას, მესაქონლეობას, მეხორბლეობა-მეფუტკრეობას, რადგან რკინა იყო ოქრო (პინდარე ათენელის ცნობით — ძვ. წ. ა. V ს. — კირბები იყო ცხერის ტყავზე ნაწერი წიგნები, ოქროსა და ვერცხლის ქიმიის მემკვირვებით მიღების შესახებ), პური, ღვინო, ქალი, ქარვასლა და გადაგვარდა მისი ერთი ნაწილი, თუმცა დარჩა წარმართველი ძალი, რომელიც მყარად მიჰყვებოდა ღვთიურულ კანონებს, ბიბლიის ათ მცნებას და ზედ დამატებულ შორ ქორწინებებს, რათა ახლო ქორწინებით — სისხლის ადრევეთ არ წარეყვანათ თავიანთი გენეტიკური სრულყოფილება.

რუსული ჩექმა, ევრო-ატლანტიკური კოპაბიტაცია — (ქვეყნის დამანგრეველი, ხალხის ზნეობრივ-მორალურად გამოთლავი მტრული ძალის არათუ შემწვანარებლობა, არამედ გვერდით მოსმა სახელმწიფო საქმიების გარჩევისას), „ევროპის სახალხო პარტიის“ მიკერძოებული ვნებათაღელვანი, შავს თეთრად რომ წარმოაჩენს მიწვივ, არასამთავრობოთა ტკიპასავით გამოსუქებული კრებული, დიახაც, ერთგვარი ჯაჭვივითაა ჩვენი ზოგადკაცობრიული იდეალების გზაზე სიარულისას.

გვიცაცხანებენ, გვიბღვევენ, მიუღებლად ჩამოგვართმევენ საკუთარი იდენტობის დამცავი მექანიზმების სამართლიანად მომარჯვებას, რომელიც რაღაცა ფორმით ლამის უმეტეს ქვეყანას გააჩნია უკვე — „უცხოური აგენტის რეგისტრაციის“ კანონია იგი, თუ „უცხოური გაულების გამჭვირვალობა“.

— იბი სუენი, იბი ნანა, რათა იქ, ან-შანის მთებს მიღმა, მტრის საზეიმოდ გაშლილ მოედანზე საჯაროდ აწამონ, ძელზე გასვან ზეზუურად. მიდის და მიხითხითებს.

აუწყებენ ამის შესახებ მხედართავარს:

— გაგიჟდაო. იმანაც ტყვე-მეფის თავისთან მიგვრა ბრძანა.

მიუყვანეს დიდებული ტუსადი. — რა გიხარია, უბედურო, — ჩაკეთხა მხედართავარი.

— ის, რომ თქვენ გგონიათ, გაგვანადგურეთ, მოგვსკეთ, მაგრამ ერთი რამ გამოგჩნათ მხედველობიდანო.

— მაინც რა, უბედურო, — იმან. — რა და, ვერ შენიშნეთ წელზე რა გვერტვაო.

— მაგას რა მნიშვნელობა აქვს, უბედურო, — იმან.

აქ კი იბი სუენმა ხმა აღიმადლა:



მე მადლიერების მეტი რა უნდა მეთქმოდეს ჩვენი გმირთაგმირი წინაპრების დანატოვარ დანაფლეთებულ მამულზე. გამოვიარეთ შუმერული გლოვა 5000 წლის მიღმა; გამოვიარეთ კრეტას ტრაგედია 3800 წლის წინათ; გამოვიარეთ ტროის ტრაგედია 3200 წლის იქით. რას არ გაუძლებთ, შინააშლილობებს, ბოლშევიკურ რეპრესიებს, „ნაციონალების“ განუკითხავ პარპაშს ერის გაჩანაგების გზაზე, და მაინც, ჩვენ, იბერიელებს, ათასწლეულიდან მოყოლებული, სხვათათვის თავის დამდებელთ, სხვათათვის სიცოცხლის გამდებელთ, ყოველთვის შებოჭილებს გვიხდებოდა მადლის მიგება დანარჩენი მსოფლიოსთვის.

ამის უტყუარი მაგალითი პრომეთე, ფანავის, იგივე ზეამლს კლდეზე, ანუ სრულიად კავკასიონზე მიჯაჭვული გმირთაგმირი ამირანი. ის მთელი მონდომებით ევაჯგურებოდა მონობის დამამცირებელ ჯაჭვს, მაგრამ დაჰკრავდნენ ხელისუფლებასთან შეკრული მჭედლები გრდემლზე უროს და გათხლებული ჯაჭვიც ეგრევე შემოთლიანდებოდა.

ჩვენი დღევანდელი მთავრობა და ხელისუფლება, ჩვენი კანონშემოქმედება ამ მოჯადოებული წრის ფარგლებშია მომწვედელი დღესაც — ყიზილბაშური ჩაღმა იყო ეს,

დიახ, მე ცხადლივ ვზედავ პროტობერეტიული ეთნოსის მორიგ გაბრწყინებას, ენქის რასასაც რომ ეძახდნენ შუმერი აფქალები, იგივე კავკასიოდ რასას. ეს არ არის რაიმე ნაციონალური გონებაშეზღუდულობა, ან უარესი — მთლად მიუტყვევებელი შოვინიზმი, კაცთმოძულეობა, პირიქით, ყველა ერის და ხალხის მომავლისთვის განუხრელი ბრძოლითაა შთაგონებული.

პროტობერეტიული იყო კაცობრიობის ბიბლიური წარდგინსგან გადამრჩენელი პიროვნება, უკვდავება რომ მიუბოძეს ღმერთებმა — ზიუსუდრა. იგი შემდგომ, შემოკედლებული თეთრთმიანი ხიზნების პერიოდში, უთანაფიშთიმად გადაინათლა — აქადების პერიოდში და ცოტა მოგვიანებით მთლად ნოვდ მოგვევლინა სემიტების აღზევების ჟამს — ბაბილონში.

გავიდა დრო და ჩვენი მიაბიტი ბუნების წყალობით, საკუთარ სამშობლოში ხიზნების ქვეშევრდომებად ვიქცეთ. მერე ისე წაგვივიდა საქმე, რომ ეს სამარცხვინო მდგომარეობა სანატრელი გაგვიხდა, ერთ მშვენიერ დღეს მოხროვდა გავშუებული ძალა და დედაწულიანად დაგვბასრეს, ყელში მახვილი გამოგვისვეს.

მიდის ურის ფეხშიშველა მეფე

— აქვს, აქვს, უბედურიშვილო, არარაობა! ვერც კი შენიშნეთ, წელზე ვაზის ლერწი რომ გვერტვა, აგერ, მე რომ შემომიხვევია, იმისთანა. დაგვმარხავთ, მაგრამ ისევე აღმოცენდებითო.

აი, სად არის ჩვენი მარადიულობის პარადიგმა — ვაზის და ხორბლის, ფუტკრის და ვერძის, ხარის და ფურის, მშენიერის და ამალებულის, შენებისა და აღშენებლობის, პოლიფონისა და ციბრულიანი ფერხულეების ჰარმონიულ თანაქმედებაში.

ესენი ევროპელობით გვედიდებულებიან, როცა ჩვენ, ცივილიზაციათა გზაჯვარედინზე დასაყდრებულეებს, თანაბრად აგვითვისებია ევროპულიცა და აზიურიც, აფრო-ამერიკულიცა და ოკეანეთის ყველა ფასეული სიდიდე და ერთ მთელში დაგვისინთუებია — ქართველში, საქართველოში!

ჩვენ უხსოვრობის დროიდან მიყოლებული, უფლის ხე-გვიმრახველოცულობით დღემოსწრება. მერე ჟამთა ტრიალმა გაგვიპარტახა ეს სალოცავი ხე-გვიმრახვი, გაგვიჩანაგა, დაგვიმცრო, ბალახად გვიქცია, მაგრამ, აი, ერთი ღვთისნიერი მართალი კაცის, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით, ისევ ჩამობრუებულა დედამამშობლოში

ახალი ზელანდიიდან, შეკვეთილში დაფუნებულა სრულიად საქართველოს ალორძინების საწინდრად.

ჩვენს მარადიულ შემოჭველებს კი ჰგონიათ, გაგვიბაწრავენ ხელფეხს და მონურ მორჩილებაში გვიყოლიებენ. მაგრამ ფიქრს როგორ შეაჩერებენ ეს ბედოვლათები?! და მეორეც, ვეღარც ჩვენი მთავრობისა და ხელისუფლების მსგეველობას შეაჩერებენ ტემპარტი თავისუფლებისკენ. ამის შესახებ ყველაზე უკეთესად გინების თემების მამიებელ უფროს კოლეგას ჩემსას, დიდებულ გვანჯი მანაის მოეხსენება. მოეხსენება, კოლხებს, ქართველებს როგორ ემარჯვებათ ზღვაზე სიარული, აღმართული ხელებით ქრისტესავით როგორ მიიწვევენ წინ და ასეთ ცურვას „ქელეური“ ჰქვია სახელად. ახლა ეს ხელ-ფეხი ჰენრი კუპრაშვილის მსგავსად შებოჭილი თუ აქვს ვინმეს, თვით ლამაშის სრუტის ვრცეულობაც არაფერია მისთვის, უპრობლემოდ გადალახავს დასახელებული ცოდნის წყალობით.

დიახ, ჰენრი კუპრაშვილის ალიკვალა ჩვენი მთავრობა და ხელისუფლება, გზადგზა ათასგვარ შემაფერხებელ ბარიერს აღძრავენ გარე თუ შინაური მსტოვრები, ვითომ მოკეთეთა მენტორული ტონით ყაყანებენ, მეტიც, ფეხის ბაკუნია აქა-იქ და მუშტის მოღერებაც, მაგრამ ჩვენი მეწინავეობა ყურის არ იბეჭტავს და ჰენრი კუპრაშვილისებურად ჯიუტად წინ მიიწვევის აღთქმული ნაპირისაკენ.

არ გაინტერესებთ განა, მაინც, რას ვგულისხმობთ ამ აღთქმულ ნაპირში?!

— საყოველთაო ბედნიერება, მეგობრებო, სადაც ნაბდის გაშლა მიწაზე გვერდიგვერდ აღავლენენ ხოლმე საკუთარ ლოცვებს მართლმადიდებელნი, კათოლიკენი, მუჰამედის რჯულის მიმდევრები, ბუდისტები თუ სინაგოგიელები.

საყოველთაო ბედნიერება, მეგობრებო, როცა ქართულ მრავალხმიან სიმღერასავით გვერდიგვერდ თანამშრომლობენ ნეგროიდი, მონგოლოიდი თუ ევროპეიდი რასები; სადაც ბოროტს ბოროტი ჰქვია სახელად, კეთილს კეთილი და მართალ კაცს მართალკაცი; სადაც სახელმწიფოს მამუნებელ ძალისხმევას ქალისა და კაცის ურღვევი კავშირი ქმნის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ზედამხედველობით საინიციატივო ჯგუფი ერთ კაცობრიულ პროექტზე მუშაობს, რომლის სახელწოდება „მიძინებელი გოლიათია“. ეს მილიონობით ჰექტარი მსოფლიო უდაბნოეთის მეტაფორული სახელია. აი, ამ „მიძინებელი გოლიათის“ ფეხზე წამოსაყენებლად იღვწის გულანთებული ადამიანების მომცრო კრებული, რათა ისედაც გრძელფეხებიან ფსტას — საკმეველის ხეს, ფეხვები უფრო გაუმძლავრდეს აკადემიკოს რამაზ განუკიძის პრეპარატი „ბიორაგით“ და მერე ამ ჯანსრული ნერგებით ერთობლივად შევუდგეთ უდაბნოების რუბილიტაციას საქართველოს მესვეურებით, რათა ერთობლივი ძალისხმევით მოვაბევროთ ჩვენი პლანეტისათვის ესოდენ აუცილებელი ჰაერი და სარჩო-საბადებელი.

# რა საჭიროა განათლება, როცა სოფლა თავეთი აქვით...

(გაბრძანება. დანახვისი „სგ“ N9-11)

კრებსითი ლოტორეონელი სკოლის დირექტორები არსად წასულან, იქვე (განათლების სისტემაში) და იმგვარებივე არიან. რაც სკოლის დირექტორების კონკურსის ფუნქციური წერის გამოცდების შედეგად დევს „მარგალიტე-

„თვითმმართველობის ორგანო უარი მითხრა დაფინანსებაზე. აბა, ის ორგანო რა ორგანოა, უარს რომ გეტყვის საჭიროების შემთხვევაში...“

„ჩვენი ვალაია აღვზარდით მოსწავლეები, რომელნიც ამავე დროს იქნებიან მოზარდები...“

„მოგაწყვეთ „ვალენტინობა“ — სიყვარულის დღე“, რომელზეც

ცელში ექიმების ჩანაწერებზე კი, შესაძლოა, გამწარებულმა ჭირისუფალმა სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინოს. არადა, რა ქნას იმ ექიმმა, რომელიც, შესაძლებელია, თავისი საქმის პროფესიონალია, მაგრამ მისთვის მშობლიური ენა არავის უსწავლელია, მხოლოდ საყველბუროდ იცის, კომუნიკაციის დონეზე.

პაციენტების ავადმყოფობის ისტორიებში ექიმების მიერ ჩაწერილი „მარგალიტები“:

„მიმღებ განყოფილებაში მოხვედრისას, ავადმყოფს გული გაუჩერდა და თავი უკეთ იგრძნო“;

„ანამნეზში სუციდი არ აღინიშნება“;

„მეორე დღეს მუხლი უკეთ გამოიფურებოდა, მესამე დღეს კი საერთოდ გაქრა“;

„ავადმყოფი ყინულზე წაიქცა და ფეხები შუა დეკემბერში ურთიერთსაპირისპირო მიმართულებით გაუცურდა“;

„პაციენტი პალატაში არ არის ე.ი. მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“;

„ავადმყოფი საწოლში აქტიურია, ხშირად იცვლის პოზებს“;

„დიაგნოზი: მწვავე რესპირატორული ინფექცია. საბოლოო დიაგნოზი: მარცხენა ბეჭის ფრთის დამწვრობა“;

„უჩივის ქხედველობას — ქალიშვილის ქალისგან უკვე ვეღარ არჩევს“;

„მკურნალობდა შინაური მეთოდებით: დილით სვამდა არაყს, სადილად — ღვინოს“;

„ავადმყოფმა დანიშნული რეჟიმის დარღვევით, ორგანიზმში შეიყვანა შემწვარი გოჭი და აჯიკა“;

„ავადმყოფს აღენიშნება მდგომარეობის გაუმჯობესება — ფეხებს უკვე დამოუკიდებლად ჭმობს“;

„წარმატებული მკურნალობის შემდეგ პაციენტი გაეწერა რაიონული პათოლოგანატომის მეთვალყურეობით“;

„ავადმყოფი დეპრესიაშია და გამუდმებით ტირის. ამავე დროს, ჩანს, რომ რაღაცაზე გულნატკენია“;

„ავადმყოფი ნ.გ. ასაკი 70 წელი. დიაგნოზი: მწვავე ქოლერისტიტი. თანმხლები პათოლოგია — ქალწულობა“;

„ავადმყოფს აღენიშნება ცოლი, 2 ქალიშვილი და საზარდულის თიაქარი“;

„მიმართვა უროლოგიურ კლინიკაში: მარჯვენა თირკმლის დაჟეჟილობა თვითმცლელზე“.

სასეიროდ „კურიოზია“, მაგრამ, როდესაც იურისტი „ხედმიწევის“ პროფესიული განათლებით“ აოცებს ყველას, ესეც კურიოზია?

იურისტი: მაშ ასე, ბავშვის ჩასახვა 8 აგვისტოს დილით მოხდა? პასუხი: დიახ.

რას აკეთებდით მაგ დროს? პასუხი: ვტ...ობდი.

2. ადვოკატი: ეს ცხვირი გაიტეხეთ ბავშვობაში? პასუხი: დიახ, მე მხოლოდ ეს ერთი ცხვირი მაქვს.

3. ადვოკატი: მას სამი ბავშვი ჰყავდა. ასეა? პასუხი: დიახ.

რამდენია ამათგან ბიჭი? პასუხი: არცერთი.

რამდენია ამათგან გოგო? პასუხი: ბატონო მოსამართლე,

ვინაა ეს კრეტინი? მომაშორეთ! არ შეიძლება, სხვა ადვოკატი ავიყვანო?

4. ადვოკატი: რომელ რიცხვში ხართ დაბადებული? პასუხი: 15 ივლისს.

რომელ წელს? ყოველ წელს.

5. იურისტი: თქვენ ესწრებით პროცესს, როდესაც სურათი გადაგიღეს? პასუხი: თქვენ რა, დამცინით?

6. ადვოკატი: შემდეგ რა მოხდა? პასუხი: რადგან ვიცანი, მან მითხრა, რომ უნდა მოგკლათ.

ადვოკატი: მერე, მოგკლათ? არა.

ეს მხოლოდ ის ცნობილი მაგალითებია, რაც უცბად მომხვდა ხელთ და ნიშნად წარმოვადგინე, მკითხველიც ცოტა განვმუხტე, თორემ სავალალო მდგომარეობა ყველა სფეროში. გაუნათლებლობის პიკია, წერა-კითხვისა და მეტყველების მხრივ კი ყოველად წარმოუდგენელი მდგომარეობაა „ჩაყლაპული“ ბგერებიდან დაწყებული, „რბილი „ლ-ს“ ჩათვლით...

ახლახან განათლების ახალი მინისტრი გაგვაცნო პრემიერმა, რა თქმა უნდა, დადებითი კუთხით. აქამდე ველი, მაგრამ ვერსად წავაწყვი ინფორმაციას მისი ინოვაციური ხედვისა და სტრატეგიის შესახებ...

სანამ „ბოლონიის პროცესს“ (არა მხოლოდ) ვართ მიერთებული „საჯარო სკოლებით“ დაბალი ხარისხის სადენად, მანამდე ივლისამ სადენში დაბალი სიმძლავრის ცოდნა და უკიდევანო უწიგნურობის განათლება!

პროფესორი გაეტანო ფერანტი: „მეორე მსოფლიო ომის შემ-

ორიტეები? ზვიად გამსახურდიას არაფერი დასცალდა; შევარდნაძის ხელისუფლების სახელმწიფო მინისტრმა ავთანდილ ჯორბენაძემ აკადემიკოსები დააკვალანა: ჩვენ ის მეცნიერებები უნდა განვავითაროთ, რომლებიც ნავთობსადენებს მომსახურებენ. რა „ნავთობსადენთმცოდნეებიც“ განვითარდნენ, ყველამ ვნახეთ!..

საკაპეილის ხელისუფლებამ საერთოდ „ჩარეცხა“ მეცნიერებაც და აკადემიკოსებიც: ჩვენ განათლების ისეთი სისტემა გვკვირდება, რომელიც რესტორნებში მიმტანებსა და სასტუმროს მომსახურე პერსონალს გამოზრდისო. (ის სხვა საკითხია, საქართველო რომ პოლიციური ქვეყანაც გახდეს).

მოკლედ, „ნავთობსადენთმცოდნეობა“ უნდა გადასულიყო „მოჯამაგირეობათმცოდნეობაზე“.

აქ ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: „მოჯამაგირეობათმცოდნეობის“ ხაზი აუცილებლად უწიგნურობასა და ინგლისურ ენაზე უნდა გასულიყო — ალბათ, მიზანი, კონკრეტულად, ანგლო-საქსების მოჯამაგირეობა იყო. რაღა „ალბათ“ — განათლების სამინისტროს იმდროინდელმა მალაჩინოსანმა (მოგვიანებით „ილიაუნის“ რექტორი) მიეთმოეთის გარეშე თქვა, რომ განათლების რეფორმის მიზანი საქართველოში ინგლისური ენის სახელმწიფო ენად დამკვიდრება ყოფილა. არა, ბიჯო, განათლებე მოჯამაგირე და ელაპარაკე მალაჩინოებზე!

სანამ ვინმე ქართულად ლაპარაკს, წერა-კითხვასა და აზროვნებას ბოლომდე აგვიკრძალავს, საგანგებოდ მაინც ვთქვათ მოკლედ, რომ ქართველი „პურისტები“, რომელთა შორის იყვნენ ნიკო ნიკოლაძის შვილები, რუსუდან და გიორგი ნიკოლაძეები, უდიდესი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებ-



ტექნიკური ტერმინოლოგიის შექმნის ხაორიენტაციო გეგმა (სიტყვარის ავტორები).  
უკანა რიგში: მ. შალვაშვილი, გ. ნიკოლაძე, ი. მ. ბედიანი, ი. სხედანი, შუაში: ვ. კაკაბაძე, რუს. ნიკოლაძე, გ. ბედიანი, შვილნი, პირველ რიგში: ი. ბერბეგი.

ბად“, მათ რაღა უნდა მოჰკითხო. თუ კვლავაც ასეთივე „გაქანების“ სკოლის დირექტორები იქნებიან სკოლების ხელმძღვანელები, ხოლო მოფაშისტო, პოლიტიზებული აგიტატორები — მასწავლებლებად, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ იყო, არის ან იქნება განათლების მინისტრი: სანტექნიკოსი, პროკურორი, ჯალათი, თუ ვინა ბარამიძის ყოფილი თანამშემწე ვეროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში...

მოვიწვიეთ სკოლის ვეტერანი მასწავლებლები...“

„გასულ სასწავლო წელს ავად ვიყავი. ახლა, იმედია, ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულიც მექნება და ყველაფერს განვახორციელებ...“

„ისტორიის მასწავლებელი სულ ახლახანს დაბერდა...“

„ჩვენი სკოლა, მართალია, ნახმარია, მაგრამ კარგად შენახული...“

„ჩვენი სკოლა ემსახურება მხოლოდ 4 კმ რადიუსის მქონე ბავშვებს...“

„ბავშვებს გადაეცა ტკბილეული. მართალია, მეორადი, მაგრამ შესაძლებლობის ფარგლებში...“

„სკოლის რემონტი მოვახერხეთ მოსწავლეთა მამების ძალადობით...“

„ქარმა მთლიანად მოგლიჯა პერიპეტეები...“

„ქვემოთ მიღებული გადაწყვეტილება უფრო ეფექტურია, ვიდრე ზემოთ...“

„მე ვთვლი, რომ ჩვენს სკოლას კოსმეტიკური კი არა, ქირურგიული ჩარევა ესაჭიროება...“

„თვალსაზრისად ადგილას გამოვფინეთ სახელმძღვანელოთა ავტორები...“

„ბავშვებში ჩადებული კაპიტალი ბუმერანგივით დაუბრუნდება სამშობლოს...“

„სკოლაში მიგრაციამ თითქმის მოსახლეობის მაქსიმუმს გადააჭარბა...“

„სკოლაში აღმოიფხვრა კორუფცია და დიპლომატია...“

„ისტორიის მასწავლებელმა გააჩინა ტყუპი ვაჟები და სულ დაავიწყდა პროგრამა...“

ძალაუნებურად გეცინება ადამიანს, ბუნებრივი ემოციაა, მაგრამ, რომ დაუფიქრდები, რაღა გაგაცინებს მოზარდის მშობელს, ავადმყოფობის ისტორიის ფურ-

## სკოლის დირექტორების „მარგალიტები“:

„ისტორიის მასწავლებელი არის ახალბედა, სულ ორი წლის...“

„დღეისათვის ხელოვანმა, გამოცდილმა პედაგოგებმა ძლიერი ხარი უნდა შემოვკრათ საუკუნეების მიღმა უღრანებში დავანებულ კაცობრიობის ცოდნასა და განათლებას და გადავცეთ ის ახალბედა პედაგოგებს...“

„უკეთესი ხარისხის ამაღლების მიზნით ჩვენ ვეძებთ გზებს...“

„ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია პრიორიტეტულია მხოლოდ დაწყებით კლასებში...“

„ჩვენ სასწრაფოდ გვჭირდება საფუძვლიანი შეკეთება, თორემ მალე რემონტს აღარ დავექვემდებარებით...“

„სკოლას კაპიტალური რემონტი არ ჩატარებია, მხოლოდ კოსმეტიკა წავუსვით...“

„მოგმართათ სრულიად საქართველოს პედაგოგი...“

„სკოლას წყალდიდობის შედეგად აღარ აქვს იატაკი, ჭერი, კედლები, სახურავი, საძირკველი და კოჭებიც კი — მე რა ვქნა?“

„ჩემს სკოლაში პედაგოგებს არ მოჰკლებიათ ცარცი...“

„სკოლა საჭიროებს შებათქაშებას და შეგაჯვას...“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

## სიტყვარი

პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი

1920

დედ, ჩვენმა მთავრობამ დიდი შეცდომა დაუშვა. მათ გადაწყვიტეს, რომ იტალიის ადღენა ტურიზმის განვითარებით აღდგებოდა და განათლებაში მთავარი აქცენტები იმ საგნებზე გადაიტანეს, რომლებიც ტურიზმის განვითარებასთან იყო დაკავშირებული. მხოლოდ 20 წლის შემდეგ მიხვდნენ, რომ ეს უდიდესი შეცდომა იყო და ყურადღება ტექნიკურ მეცნიერებებზე გადაიტანეს, მაგრამ ეს დაგვიანებული აღმოჩნდა...“

მას შემდეგ, რაც დამოუკიდებელი გახდა საქართველო, რა გახდა ჩვენი განათლების სისტემის პრი-

ლობით შემთხვევით არ გაერთიანებულან, რათა შეექმნათ დარგობრივი ტერმინოლოგია ქართულ ენაზე. 1920 წელს გამოქვეყნდა კიდევ ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიის პირველი ლექსიკონი, ანუ სიტყვარი.

„არცერთი არაქართული სიტყვა! ქართულს აქვს შესაძლებლობა, რომ ნებისმიერ ლათინურ ტერმინს შეუსატყვისოს ეროვნული სიტყვა!“ — ასეთი იყო მათი ხედვა.

რა თქმა უნდა, იმ დროშიც იყვნენ „გზაბანეული ქართველი ევ-



განათლების სფეროში შექმნილი ვითარება კატასტროფულია, დღემდე განათლების მთელი ვერტიკალი ნაცვებისაა. დაუმკვებელი იყო განათლების სისტემაში და, ზოგადად, ყველა სფეროში იმ აქტივისტების დატოვება, რომლებიც ნაცვების ფაშისტურ-მოღალატეობრივ პოლიტიკას ატარებდნენ და რომელთაც საქართველო ზნეობრივად, მორალურად გაანადგურეს. გახსოვთ, ალბათ, თვა თუთბერიძე რომ მიიყვანეს უნივერსიტეტში და ნოდარ ტაბიძე გამოაგდეს და პროფესორობა ჩამოართვეს. სამაგიეროდ, „კმარელი“ თუთბერიძე პროფესორად აირჩიეს.

დაიხ, ხელისუფლებას, სასწავლებლების კონტროლის თვალსაზრისით, მეტი პრინციპულობა და აქტიურობა მართებს. მართვის სადავეების ხელიდან გაშვება, დაუშვებელია. მომავალი თაობა დემოკრატიის პრინციპებზე უნდა აღზარდოს და არა ქაოსურ იდეოლოგიას მორაგოდ. ამ და მკითხველისთვის საინტერესო სხვა საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს მწერალთა კავშირის თანათამაჯდომარე, პოეტი ბაბატიანი არაბაშვილი:

# დრო, ეროვნულ განათლებაზე გადავიდეთ!

## სტუდენტებს უნდა ავუსხნათ, რომ პოლიციის მათი სამშობლოს ნაწილია

— ბატონო ბაბატიანი, განათლება ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. სწავლების დონის თვალსაზრისით, რა სურათი იკვეთება დღეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში?

— ჩვენ მოვიპოვეთ მასალები, საიდანაც ირკვევა, რა განათლებას იღებენ სკოლებში ბავშვები სტრატეგიული მეგობრების „დახმარებით“. მაგალითად, ხარაგაულის რაიონში სოფელ ბორითის სკოლამ ამერიკული ორგანიზაცია USAID-ის „სამოქალაქო განათლების პროგრამის“ მხარდაჭერით, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ პროექტის განხორციელება დაიწყო. როგორც ბორითის სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი აცხადებს: ამ საკითხის ირგვლივ ცნობიერების ამაღლებას და სწორი ინფორმაციის მიწოდება მოზარდებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამოქალაქო განათლების სახელმძღვანელოში რამდენიმე თავი რეპროდუქციული ჯანმრთელობის — ნადრევი ქორწინების რისკის სწავლებას ეძღვნება, თუმცა ეს არასაკმარისიაო, — ამბობს პედაგოგი კალანდაძე. მისივე თქმით, თურმე სკოლის უფროსკლასელებს — სამოქალაქო კლუბის წევრებს თავად მოუწოდებდათ ასეთი „განათლების“ მიღება და სკოლაშიც პროექტი შემუშავა. ამ საკითხზე პირველი შეხვედრა ასოციაცია „ჰერა-21“-ის ქუთაისის ოფისში შედგა. ბავშვები ქუთაისში წაიყვანეს და „ჰერა-21“-ის ხელმძღვანელობას შეახვედრეს. აღნიშნული ასოციაცია ათეული წელია, იმერეთში სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის შესახებ განათლების გავრცელებას უწყობს ხელს. გეგონება, სკოლას სხვა ყველა პრობლემა მოგვარებული აქვს, სხვა საგნებში იდეალური სწავლება და ისლა დარჩენიანთ, ახლა სექსუალური სწავლებით დაინტერესდნენ. ამ სწავლების მიზანი შემდეგია: ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს, სექსუალური ჯანმრთელობის კუთხით რა უფლებები გააჩნია, როგორ დაიცვას თავი ორსულობისგან და ა.შ. როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, განათლების სამინისტროში უკვე მსჯელობენ, გახადონ თუ არა ეს „საკანონი“ საგანმანათლებლო. ჩემი აზრით, სკოლებში ბავშვებისთვის მსგავსი „განათლების“ მიღება დაუშვებელი, მეტიც, დანაშაულია. ამ მიმართულებით შედეგები განათლება არავის სჭირდება. სექსუალური კავშირი ბუნებრივი, გენეტიკური პროცესია და როცა ამისი დრო მოვა, ახალგაზრდები თავად გაერკვევიან, როგორ გამრავლდნენ.

ჩემი ინფორმაციით, აპირებენ, ბიოლოგიისა და სამოქალაქო განათლების პედაგოგები, ამ მიმართულებით, გადაამზადონ. შევიტყვევ, რომ განათლების სამინისტრომ ხელშეკრულება გააფორმა ცნობილ ლეგტ ორგანიზაციას „საფართთან“, რომლის ხელმძღვანელი ბაია პატარიაა გახლავთ. „საფართის“ წარმომადგენლები სკოლის მასწავლებლებს გადაამზადებენ და ეხმარებიან. შედეგად, გადაამზადებული პედაგოგები ბავშვებს, ამ კუთხით, საგანმანათლებლო გაკვეთილებს ჩაუტარებენ, რაც, რბილად რომ ვთქვა, დანაშაულია და მოზარდების ტვინის გამორეცხვას, მათი აზროვნების დამახინჯებას ემსახურება. „ჰერა-21“-ის წარმობაა, თუ, როგორც „სტარტეგიული პარტნიორები“ გვეუბნებიან: „ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის გამოწვეული მეგობრული ხელი!“

ამ დროს სკოლებში უამრავი მნიშვნელოვანი საკითხია მოსავარაუდელი. განათლების სამინისტროებში სახელმძღვანელოებს ისევე ლობიათ და შაშვინდროინდელი „სპეციალისტები“ ადგენენ. სწორედ ამიტომ, წიგნები ლიბერალისტულ-სოციალისტური მასალებით არის გაჯერებული, რითაც, ჩემი აზრით, სამოქალაქო განათლების დამახინჯებული ფორმით მიწოდება ხდება, რაც შემდეგ იმის წინაპირობას ქმნის, რომ მოვიდეს ახალი თაობა, რომელსაც აბსოლუტე, მტერია. გიორგი სააკაძეც არაერთხელ ამოსვარა მაკანმა ლაფში

— ამით ჩვენი ისტორიის რევიზია ხდება. ბავშვისთვის ისტორიის სამყარო მთლიანად ინგრევა და ცნობიერებიდან ვარდება. ეს ხომ კატასტროფაა. მწერლობაშიც, კულტურაშიც სწორედ ასე ხდება რევიზია. ახალი თაობა ახალი შეხედულებებით, იდეოლოგიით მოდის. თითქოს 2003 წლიდან ახალი ადამიანის შექმნა დაიწყო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს.

— ...დღეს კი სტუდენტები მერხებზე დახტან და ლექტორებს მონებს ეძახიან...

— ალბათ, ხელისუფლება-

სამშობლოზე ლექსები კი, რა ხანია, პროგრამიდან ამოღებულა...

— მეტიც, სკოლაში საქართველოს ისტორია აღარ ისწავლება, როგორ შეიძლება შენი ქვეყნის ისტორია ცალკე საგნად არ იყოს გამოყოფილი. სკოლებში „ვეფხისტყაოსანს“ არ ასწავლიან, პატრიოტული თემატიკა სასწავლო პროგრამიდან საერთოდ ამოღებულია. „ილიაუნის“ მაგალითზე გეტყვით ერთ ფაქტს: სასწავლებელში მწერლებთან შეხვედრა შედგა, რომელსაც პოეტი მანანა ჩიტიშვილიც ესწრებოდა. მას შესანიშნავი პატრიოტული ლექსები აქვს. შეხვედრაზე რამდენიმე ლექსი წაიკითხა. „ილიაუნის“ კანცლერმა, რომელიც ადრე ლობიას დროს მისი მოადგილე იყო, პირწავარდნილმა „ნაციონალმა“ იცით, რა უთხრა მანანა ჩიტიშვილს?! — პატრიოტულმა ლექსებმა დრო მოჭამაო. მანანამ პროტესტის ნიშნად შეხვედრა დატოვა. აი, ასეთი ხალხი ასწავლის ბავშვებს, ისინი ადგენენ სასწავლო პროგრამას. ბუნებრივია, ადამიანი, რომელიც ფიქრობს, რომ პატრიოტულმა თემატიკამ დრო მოჭამა, სასწავლო პროგრამაში არც ვახტანგ ხარბილაშვილს ლექსს შეიტანს, არც ბაბატიანი არაბაშვილს და არც რაფიელ ერისთავის და ლადო ასათიანის შემოქმედებას დატოვებს. რა ხანია, ერისთავის „არ გავცვილი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზე...“ სკოლებში აღარ ისწავლება. ლადოს „კრწანისის გაყარობა“ ლეონ ბერძენიშვილმა ხომ დაიწუნა — ეს რა ლექსიაო. განათლების სისტემა მთლიანად მორღვეული, მოშლილია. სკოლებიდან დაწყებული, უმაღლესი სასწავლებლებით დამთავრებული, პედაგოგების მოზარდების დონე უნდა შემოწმდეს. უნდა ვიცოდეთ, ვინ ეწევა ჩვენი შვილების აღზრდა-განათლებას. მშობელი ბავშვს სკოლაში რომ უშვებს, იგი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მას პედაგოგი პატრიოტულ, ეროვნულ, ქართულ იდენტობაზე აღზრდის და იგი კაცისმკვლელებს და ქვეყნის ამფეთქებელი არ გახდება. საძიკველშივე ჩადებული განათლება და მისი ხარისხი განსაზღვრავს ადამიანის რაობას და ვინაობას. თუ ბავშვი თავიდანვე ჯანსაღი იდეოლოგიით არ აღეზარდეთ, გადაგვარებულ თაობებს მივიღებთ, რომელთაც სამშობლოს კეთილდღეობა არ დააინტერესებთ. ღმერთმა დაგვიფაროს ამ უბედურებისგან.



მადგენელი დიად აცხადებს, რომ მოსწავლეებთან ერთად მათ შობლებსაც შეხვედრიან. როგორც ირკვევა, მშობლები, ხშირ შემთხვევაში, ასეთ განათლებას ეწინააღმდეგებიან. ბავშვები კი თანხმდებიან, რადგან ფიქრობენ, რომ ჯანსაღი და სრულფასოვანი ცხოვრების დამკვიდრებისთვის ეს აუცილებელია. ბორითის სკოლაში მშობლების ნაწილი უკვე დათანხმეს იმაზე, რომ მათმა შვილებმა სათანადო ინფორმაცია მიიღონ. კერძოდ, როგორ დაიცვან თავი სექსუალური ძალადობისა და ნადრევი ორსულობისგან, რასაც თურმე დიდი ტრავმა ახლავს. აქვე გეტყვით, რომ USAID-ის ხუთწლიან პროგრამაში მხოლოდ ხარაგაულიდან ექვსი სკოლაა ჩართული. ესენია: ხარაგაულის მე-2, მე-3, მარეღისის, კიცხის, ბორისა და ბორითის სკოლები. ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაცია მხოლოდ ხარაგაულის სკოლებს ეხება. წარმოიდგინეთ, ამერიკულმა ორგანიზაციებმა USAID-მა და „ჰერა-21“-მა ბოლო ათწლეულებში რამდენ ბავშვს მიაღებინეს „სამოქალაქო განათლება“... ჩნდება კითხვა: რასთან გვაქვს საქმე — ეს მიზანმიმართული სოციალისტურ-ლიბერალისტული პოლიტიკის, ლეგტ საზოგადოების ჩამოყალიბების მტრული, ვერაგული მცდელობაა, თუ, როგორც „სტარტეგიული პარტნიორები“ გვეუბნებიან: „ჯანსაღი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის გამოწვეული მეგობრული ხელი!“

დიდ დანაშაულად მიმაჩნია ისიც, რომ თავის დროზე სკოლებში რელიგიის სწავლება არ დაუშვეს. ეს სასწავლო გარემოს მეტნაკლებად გააწინასწორებდა. ვფიქრობ, განათლების სამინისტრომ პედაგოგების გადაამზადება სკოლებიდან უნდა დაიწყო. იმედია, განათლების ახალი მინისტრი, პროფესიონალებთან ერთად, ამ პრობლემას სათანადო ყურადღებას დაუთმობს. ბევრი რამ არის შესაცვლელი, მათ შორის, სახელმძღვანელოები, პედაგოგიური განათლების სისტემაც როგორც სკოლებში, ისე უმაღლეს სასწავლებლებში.

ბავშვის აზროვნების დამახინჯება ძალიან დიდი დანაშაულია. ბავშვობაში მასწავლებლის დარიგება დღემდე მასხოვს. ეს ჩემთვის ცხოვრებისეული კომპასივით იყო. წარმოიდგინეთ, რა საშინელებაა, როცა ლექტორი „გასწავლის“, რომ ერეკლე მეფე მოღალატე, მტერია. გიორგი სააკაძეც არაერთხელ ამოსვარა მაკანმა ლაფში

თამარ შველიძე  
555 23 28 24

# დასავლეთი საქართველოს მიმართ პარტნიორულ და მოკიდებულაზს უნდა მივარჯიროთ



გვესაუბრება სტრატეგიული დაგეგმარების ცენტრის ხელმძღვანელი ლეონიდა მამალაძე:

— ბატონო ლეონიდა, პარლამენტში ხელახლა სამჯერ ჩაიშალა საგამოძიებო კომისიის შექმნის მცდელობა, რომელსაც აშშ-ის მიერ კორუფციაში ბრალდების გამო სანქცირებული მოსამართლეების საკითხი უნდა გამოეხილებინა. ხელისუფლებამ რეგისტრაცია არ გაიარა, რითიც დამოუკიდებელ სასამართლოს ერთგულება დაუდასტურა. როგორ შეაფასებთ ამ პროცესს?

— მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ქვეყნის მიმართ უცხოელების განსაკუთრებით კი აშშ-ის დამოკიდებულება, ძალიან უცნაურია. მოსამართლეებზე სანქციების დაწესება ადასტურებს, რომ ისინი საქართველოს არა როგორც პარტნიორს, არამედ, როგორც დასასჯელ ობიექტს, ისე უყურებენ, რომელსაც ჭკუა უნდა ასწავლონ. მათ სურთ, ჩვენი ქვეყანა უფრო მეტად დაიქვემდებარონ და ადვილად მართონ.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებამ ევროპარლამენტს, ევროკავშირს, აშშ-სა და სხვებს საკუთარი პოზიცია მკაფიოდ დაუფიქსირა და უთხრა, რომ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. სუვერენიტეტზე ასეთი ხანგასმა, საქართველოს დამოუკიდებლობის დიდ დანაშაულებული, არასდროს მომხდარა. ეს დადებითი ტენდენციაა, რაც „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. დიახ, მან ახალი მიმართულება დაანერგა, რასაც საქართველოს სუვერენიტეტის დაცვა ჰქვია და არა მხოლოდ საზღვრების, არამედ სახელმწიფოს ინტერესების დაცვა არის. ძალიან მნიშვნელოვანია, გავლენიანი ქვეყნები მიაჩვიონ პატივი გცენ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ შემდგარი ქვეყანა გაქვს. შემდგარი ქვეყნის მიმართ დამოკიდებულება აბსოლუტურად სხვაგვარია. თუ პატარა ქვეყნად მიანიხნარ, როგორც თავად მოქსურებათ, ისე გეპყრობიან. ამ დროს საქართველოს ხელისუფლება მათ უძალიანდება და საკუთარ პოზიციას აფიქსირებს, რასაც ყოველთვის სადამსჯელო ღონისძიებები მოჰყვება. ჩვენ სწორედ ამ რეჟიმში ვართ. ჯერჯერობით, დასავლეთი ვერ მივაჩვიეთ, რომ საქართველოსთან პარტნიორული დამოკიდებულება ჰქონდეს. როგორც კი ქვეყნის ხელმძღვანელობა რაიმე პოზიციას აფიქსირებს, დასავლეთი მაშინვე ჩვენს დასჯას ცდილობს.

რაც შეეხება სასამართლოს მიმართ დამოკიდებულებას, ამას

თავისი წინასწორია აქვს. 2009 წლის შემდეგ დასავლეთის სააკაშვილის დროინდელი ძალადობრივი რეჟიმის შედარებით სამართლიანი აღქმა ჰქონდა. დაფიქსირდა აზრი, რომ სასამართლო, გარკვეულწილად, აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, პრეზიდენტზე დაქვემდებარებული ორგანო იყო, რადგან სააკაშვილისა და მამინდელი პროკურატურის მიერ გაცემულ დავალებებს ასრულებდა. მიიჩნეოდა, რომ მაშინდელი სასამართლო, ფაქტობრივად, პროკურატურის გაგრძელება იყო. ამის დამადასტურებელი უამრავი ფაქტი არსებობს. თუნდაც ის, რომ საქართველო, მსოფლიოში გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების მიხედვით ბოლო ადგილზე იყო. მოსამართლეების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს თუ გადახედვით, განსაკუთრებით, სისხლის სამართლის საქმეებზე, პროკურატურისა და მათ მიერ (ვის

მოჰყვა ამ ყველაფერს: როგორც კი ახალი ხელისუფლება სასამართლო სისტემას შეეხო, დასავლეთის, აშშ-ის მხრიდან კოაბიტაციის შემოთავაზების პროცესი დაიწყო. სასამართლოს მიმართ კი პირდაპირ აკრძალვა დაწესდა — ამ ორგანოს ხელი არ ახლოთო. დიახ, დიდი იტიქაა, რომ ახალი ხელისუფლება სასამართლოს არ უნდა შეხებოდეს. დასავლეთი მაშინ სწორედ იმ მოსამართლეებს იცავდა, რომელთაც ახლა სანქციები დაუწესა. დიახ, ახალ ხელისუფლებას რეფორმებისა და ამ მოსამართლეების მიმართ დაგეგმილი ღონისძიებების გატარება აუკრძალეს. ეს სწორედ ის სასამართლო იყო, რომელიც სააკაშვილის, ადვიშვილისა და სხვათა დავალებებს ასრულებდა. იმ პერიოდში წინააღმდეგობის გაწევა ძალიან რთული იყო, რადგან რეგულაციის საფრთხე არსებობდა. მოგეხსენებათ, ამის ბერკეტი

ღნობით მიიღება, რასაც საერთაშორისო მონაცემები, სტატისტიკაც ადასტურებს, იმავე მოსამართლეებისთვის სანქციების დაწესება გადაწყვიტეს. რეფორმები, რაც ბოლო პერიოდში სასამართლო სისტემაში განხორციელდა, საკმაოდ მაღალ სტანდარტებს შეესაბამება. რატომ დაუწესა აშშ-მ იმ მოსამართლეებს სანქციები, ვისაც 2012 წელს ხელს აფარებდა? — იმიტომ, რომ ისინი მორჩილებაში აღარ ჰყავს.

რა თქმა უნდა, ამ მოსამართლეების მიმართ საზოგადოებაში ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს, თუნდაც, თუ ადრე ცუდები იყვნენ, ახლა კარგები როგორ გახდნენ? მაგრამ სახელმწიფო ამ საკითხს სხვაგვარად ვერ მიუდგება — მან დამოუკიდებელი სისტემა უნდა დაიცვას. ამიტომ საქმე მხოლოდ აშშ-ის ვიზის გაუქმებაში არ არის. ეს პოლიტიკური ნაბიჯი, გამოწვევაა — გვეუბნებიან: შენი სასა-

ხელისუფლებამ სხვა დამოკიდებულება რომ გამოამჟღავნოს, ეს სახელმწიფო სისტემას მთლიანად დაშლის. დევნას ხელისუფლების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება აქვს, რადგან ის მისი მორჩილი არ არის. ამიტომაც უნდათ ჩვენი დასჯა. ამ პროცესს ასე დავასათაურებდი: სანქციების დაწესება საქართველოს დასასჯელად. დიახ, მათ ამ სანქციებით მეხუთე კოლონას ახალი სუნთქვა გაუხსნეს, რათა ქვეყანაში არეულობის მოსაწყობად ახალი პოლიტიკური ტალღა აეგორებინათ. ამ ქმედებას სხვა დატვირთვა არ აქვს. მათ სურთ, საქართველო მორჩილებაში ჰყავდეთ, ამიტომაც უნდათ, ქვეყნის სათავეში ის ხელისუფლება დაბრუნდეს, რომელიც მათ დავალებებს პირნათლად შეასრულებს.

შემთხვევით არც 7-8 მარტის აქცია გამართულა. ამერიკულ კანონს შეგებულად უწოდეს რუსული და ახალგაზრდობა ქუჩაში გამოიყვანეს. ეს უბრალოდ არ ხდება, ეს პოლიტიკური ტექნოლოგიაა. ხელისუფლებამ კანონი უკან გაიწვია და რეგულაციური პროცესიც შეჩერდა. შემდეგ ახალი ტალღის ასაგორებლად დარტყმა სასამართლო სისტემას მიაყენეს, მაგრამ სასურველი შედეგი ვერ მიიღეს. ვფიქრობ, პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნა სწორი არ იქნებოდა. „ქართულმა ოცნებამ“ საპროცედურო მაქინაცია გამოიყენა, რაშიც გასაკვირი არაფერია. იგივეს ოპოზიციაც ხომ აკეთებს.

— რატომ მიგაჩნიათ, რომ კომისიის შექმნა სწორი არ იქნებოდა?

— კომისიის შექმნა ნიშნავდა შემდეგს: ამერიკამ გვითხრა, რომ ჩვენი სასამართლო კორუმპირებულია, ჩვენ კი საწინააღმდეგო უნდა დაგვემტკიცებინა. დავალბა მოგვეცეს: სასამართლო შენია და როგორც გინდა, ისე დაადასტურე, რომ კორუფციას ადგილი არ ჰქონიაო. თავად ვერანაირი მტკიცებულებები ვერ წარმოადგინეს. მეხუთე კოლონას კომისიის შექმნა არ გამოუვიდა. კომისია რომ შექმნილიყო, ეს სახელმწიფოსთვის დიდი ზიანის მომტანი იქნებოდა, რასაც ახალი პოლიტიკური ტალღის ასაგორებლად გამოიყენებდნენ. „ქართული ოცნება“ სწორად მოიქცა — მეხუთე კოლონას არეულობის დაწვევის საშუალება არ მისცა.

— დევნაში, ვმუშაობთ, რათა საქართველომ დემოკრატია ააშენოსო. ამერიკის ელჩისთვის დემოკრატია ქართველი მოსამართლეების საელჩოში დაბარება და პასუხის მოთხოვნაა: რატომ მიიღეს ესა თუ ის გადაწყვეტილება. დამნაშავეს დასჯას კი დემოკრატიაში ხელის შემლახველია.

— სწორად დასმული შეკითხვაა. რას ნიშნავს დემოკრატია? — დღეს ამ სიტყვამ პროფანაცია განიცადა. დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კანონის უზენაესობა და ა.შ. იმ ქვეყნებში აღარ არის, რომლებიც ამას ქადაგებენ. ეს სიტყვა მათ პრივატიზებული აქვთ. შენ რაც უნდა დემოკრატია გქონდეს, ადამიანის



## სანქციების დანერგვა საქართველოს დასასჯელად

მიერ?, თაკო) დაწერილი ტექსტი ერთმანეთს ერთი-ერთში ემთხვევა. სხვათა შორის, იგივე ეხება ჩემთან დაკავშირებით არსებულ საქმესაც, რომელიც აბსოლუტურად გამოგონილი იყო — ტექსტი პროკურატურამ შეადგინა, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადაიტანეს. სასამართლოზე საქმის განხილვას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა.

საკაშვილის პერიოდში, სასამართლო პროცესები, რეალური მართლმსაჯულება არ არსებობდა. თავდაპირველად, დასავლეთი ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა, თუმცა, ბოლო პერიოდში დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ჩვენთან სასამართლო, ფაქტობრივად, არ არსებობდა. დღეს განსხვავებული პოზიცია აქვთ. ეს ფაქტი შემთხვევით როდი გავიხსენე: როცა ხელისუფლებაში „ქართული ოცნება“ მოვიდა და ბიძინა ივანიშვილმა სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმი დაასრულა, ბუნებრივია, ახალ ხელისუფლებას გარკვეული ცვლილებების გატარება სურდა, რათა იმ რეჟიმის გადმონაშთები შეეცვალა და ქვეყანა დემოკრატიულ რეალუბზე გადაეყვანა. პირადად ვარ მომსწრე, რა

დასავლეთს ყოველთვის ჰქონდა. ამ ყველაფერს „ქართული ოცნების“ გასამართლებლად არ ვამბობ, არამედ ისტორიულ ფაქტზე ვსაუბრობ. მმართველ ძალას სურვილი ჰქონდა, ეს მოსამართლეები შეეცვალა, მით უმეტეს, რომ ის ხელისუფლებაში სამართლიანობის აღდგენის ღონისძიებით მოვიდა. სამწუხაროდ, ამის გაკეთება ვერ შეძლეს, რადგან დასავლეთმა, აშშ-მ ამ მოსამართლეებს ხელი დააფარა და „ქართული ოცნებას“ რაიმე განსაკუთრებული ცვლილებების გატარების უფლება არ მისცა. თუმცა, ხელისუფლებამ მოახერხა ის, რომ სააკაშვილის რეჟიმზე დამოკიდებულება და დაქვემდებარება ნელ-ნელა შეეცვალა და სასამართლო სისტემაში დამოუკიდებლობის ნიშნები შეიტანა. შეიძლება იდეალური სასამართლო არც ახლა გვაქვს, მაგრამ სააკაშვილის პერიოდისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. დღეს სასამართლო ბევრად დამოუკიდებელი, ცალკე მდგომი სტრუქტურაა. დასავლეთის, აშშ-ის მხრიდან ადგილი აქვს ორმაგ სტანდარტებს: მაშინ ამ მოსამართლეებს იცავდნენ, ახლა, როცა გადაწყვეტილებები კანონზე დაფრ-

მართლო სისტემა არ ვარგა და მე ვაშინგტონიდან რასაც გიბრძანებ, ის უნდა გააკეთო. კორუფციის მტკიცებულებებს არ გვაძლევენ. კელი დევნაში განაცხადა: უტყუარი მტკიცებულებები გვაქვს, რომ ეს მოსამართლეები კორუმპირებული არიანო. თურმე, მიშას დროს პატიოსნები ყოფილან და ახლა გახდნენ კორუმპირებულები! და, რას ევრდნობა ეს მტკიცებულებები? — ტელევიზიით მოსმენილ, გაზეთებში ამოკითხულ სხვადასხვა ჯგუფების, ლიდერების გამონათქვამებს, რომელთაც დღევანდელი სასამართლო არ მოსწონთ, რადგან მათთვის სასურველ გადაწყვეტილებებს არ იღებენ. რა გამოდის? — ამერიკის საელჩოში სახელმწიფო დეპარტამენტს დასკვნა მედიაში გასულ ინფორმაციებზე დაფრდნობით მოუშადა. ბლინკენმაც ამ სუბურულ ინფორმაციებზე დაფრდნობით სანქციები დააწესა! მს არის ძველანა, რომელიც მსოფლიოს მართავს? აქ პიროვნებების დაცვაზე კი არა, სახელმწიფო სისტემაზე და მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რგოლზე, მართლმსაჯულების დაცვაზეა ლაპარაკი.

უფლებები, კანონის უზენაესობა დაიცვა, დასავლეთი ამას მინც არაფერში ჩაგითვლის. აქ ასპროცენტთან დემოკრატიასაც რომ მივადვით, თუ დასავლეთს არ სურს, ამის ლეგიტიმაციას არ მოახდენს. ეს ამ პროცესის პოლიტიკური საყრდენია. ისევე ორმაგ სტანდარტამდე მივადვით — ადრე სახელმწიფო დამნაშავეს, ადამიანების გამაჟღერებელს, ქვეყნის მმართველს და მკვლელს სააკაშვილს დემოკრატის შუქურას ეძახდნენ, დღეს საავადმყოფოში მყოფზე გვეუბნებიან: პოლიტპატიმარია და გაათავისუფლეთო. როცა აშშ-ის მიერ დაფინანსებული ჯგუფები, მათი აგენტები დანაშაულს სწადიან, დამკვეთები მათ იცავენ. სალომე ზურაბიშვილიც კი დაიმორჩილეს — ვისზეც სურთ, შეწყალების აქტზე ხელს აწერიან. ეს პროცესი გრძელდება. აშშ-სთან, დასავლეთთან პარტნიორულ ურთიერთობას ბრძოლით და სწორი პოზიციის დაფიქსირებით უნდა მივადვით. ის, რომ დღეს საქართველოში მშვიდობაა, ჩვენი სახელმწიფოს პრინციპულ პოზიციასზე ყოფნის შედეგია. ასე მიიღწევა პარტნიორული ურთიერთობა და პატივისცემა. ვინც საკუთარ თავს პატივს არ სცემს და საკუთარ პოზიციას არ იცავს, მის მიმართ პატივისცემას არავენ გამოხატავს. ერთ მაგალითს გეტყვით: დასავლეთის, ნატოსა და რუსეთის ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. უკრაინაში სისხლისმღვრელი ომი მიმდინარეობს. მსგავსი შეჯახებების გამო რამდენიმე ომი გადავიტანეთ, რუსეთის ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებული აქვს. ამიტომ უფლება არ გვაქვს, იგივე შეცდომა დაუშვათ. ვიმეორებ, რევოლუციური ტალღის აგორებას ტყუილად როდი ცდილობენ. მაგრამ არ გამოდის, რატომ? ცოტა ხნით ამერიკულ კანონს დავუბრუნდეთ, რომელსაც რუსული უწოდეს, პროცესში ახალგაზრდები ჩართეს. როგორც უკვე ვახსენეთ, „ქართულმა ოცნებამ“ კანონი უკან გაიწვია, მაგრამ ვინმეს ჰგონია, რომ რევოლუციური პროცესები კანონის გაწვევამ შეაჩერა? მე, როგორც პოლიტტექნოლოგი, გეტყვით, რომ ასეთ აგორებულ ტალღას — დახარჯულ ფულს, ამოქმედებულ ხალხს, მანქანის დაწვას, თუ კოქტილებს თავისი დატვირთვა აქვს. ეს გაწერილი სცენარია და მისი შეჩერება ქვეყანაში შექმნილმა გეოპოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა. როგორც კი საქართველოში სერიოზული არეულობა დაიწყებოდა, რუსეთი შექმნიდა წინაპირობას, პროვოკაციას მოაწყოდა, თითქოს, აღნიშნული მოქმედებები მის წინააღმდეგაა მიმართული, შედეგად, ოკუპირებულ ტერიტორიებს გამოიყენებდა და დაგვარტყამდა. ამ



ვითარებაში დასავლეთი საქართველოში იმ გავლენასაც დაკარგავდა, რაც დღესდღეობით აქვს. ჩვენ კიდევ დავიბობებოდით და შეიძლება, სუვერენიტეტიც დაგვეკარგა. ამიტომ დასავლეთმა უკან თავად დაიხია. მას ჩვენი ბედი კი არ ანადვლებს, არამედ თავისი ინტერესები აქვს. აი, ამ გარემოებამ შეაჩერა რევოლუციური სცენარი. რუსეთის მხრიდან საფრთხეც თავიდან ავიცილეთ. დიდი სიფრთხილე და გონიერება გვმართებს, რათა ეს რთული პერიოდი გავიაროთ და თავი ავარიდოთ იმ გამოწვევებს, რასაც ომიანობა ჰქვია.

დავაკვირდეთ, როგორია დასავლეთის მოქმედების ტექნოლოგია: საქართველოში სხვადასხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ქმნიან, აფინანსებენ მედიას და როცა დასჭირდებათ, თავიანთი ინტერესებისთვის იყენებენ. ანუ, მათ მიერ დაფინანსებული ჯგუფები იმას იტყვიან, რაც დასავლეთს სჭირდება. მერე, ამან რეაგირებას მოახდენენ იგივე აშშ, ევროკავშირი, ევროპარლამენტი, რომლებიც შეშფოთდებიან: აი, ხედავთ საქართველოში რა ხდებაო. ამ ბერკეტის გამოყენება შეუძლიათ როგორც სასამართლოს, ისე მთავრობის მიმართაც. თავიანთ მიერვე შექმნილ ორგანიზაციებს იმ დასკვნას აწერიან, რაც თავად სურთ და მერე ამან რეაგირებენ. იგივე გააკეთეს მოსამართლეებთან მიმართებამაც. ამით ცდილობენ, საზოგადოება გახლიჩონ, ეს სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოიყენონ და რევოლუცია მოახდინონ. ეს გვემაგალიწებს. საზოგადოებამ უნდა იცოდეს, როგორ მოქმედებს დასავლეთი და როგორ მოქმედებს რუსეთი. ვიმეორებ, დასავლეთი ჩვენს მიმართ პარტნიორულ დამოკიდებულებას უნდა მივაჩვიოთ, ამის მისაღწევად უნდა ვიბრძოლოთ.

დღეს ქვეყანას კოლექტიური „ნაციონალების“ სახით ოპოზიცია კი არა, მეხუთე კოლონა ჰყავს, დანარჩენი ოპოზიცია კი პოლიტიკურ ცხოვრებაზე ზეგავლენას ვერ ახდენს. სწორედ მეხუთე კოლონას იყენებენ დასავლეთი და სხვებიც.

ოპოზიცია, წესით, ხელისუფლების ალტერნატივა უნდა იყოს, რომელიც სახელმწიფოს წინააღმდეგ კი არ იბრძობებს, არამედ საზოგადოებას განსხვავებულ მიდგომებს შესთავაზებს. საბოლოოდ, საარჩევნო ფუთონ გადამწყდება, ვისზე გააკეთებს ხალხი არჩევანს. ეს დემოკრატიული პროცესია, რასაც საქართველო მოკლებულია. **თუ გვინდა, — მროვნული ინტერესების წინააღმდეგ მხარეობს თავე და ვადვირით, ახალი, მროვნული სახალხო მოძრაობა უნდა ჩამოყალიბდეს, რომელიც საზოგადოებას ძველის განხილვასთან ალტერნატივას შემთავაზებს.**

— ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში ირაკლი კობახიძემ აღნიშნა: ნაცები იმდენს იზამენ, საგამოძიებო კომისია მათ წინააღმდეგ შეიქმნება, საზოგადოებას გაავახსენებთ: რა დანაშაულებია აქვთ ჩადენილი, რაც ერთგვარი ნიუტონბერგის პროცესი იქნებაო...

— ქვეყნის წინაშე ჩადენილ დანაშაულებზე საუბარი გვიანი არასდროს არის. ახალგაზრდებთან მუშაობა საჭირო. მათ უნდა იცოდნენ, რა ხდებაო ქვეყანაში სააკაშვილის რეჟიმის დროს. სამწუხაროდ, ახალგაზრდებზე ეფექტიანად იმუშავეს დასავლეთმა და მეხუთე კოლონამ. ახალგაზრდები მარტივად დაარწმუნეს, ვინც უცხოეთიდან გრანტებს იღებთ, ყველას აგენტები დაგერქმევათო. გეტანხმებით, რეჟიმის გასამართლების პროცესი, რომელიც 2012 წლიდან უნდა დაწყებულიყო, დასავლეთის ჩარევის გამო შეჩერდა. კოაბიტაციის დაწყებას ივანიშვილმა აბრალებენ. მას ეს არაფერში სჭირდებოდა. ეს იყო დასავლეთიდან წამოსული შეკვეთა. დაიხ, ნიუტონბერგის პროცესი დასაწყებაა. ასე თუ მოხდება, მეხუთე კოლონა ამდენს ვეღარ გაბედავს, რასაც ახლა ბედავს. ერთ მაგალითს მოვიყვან. შარშან, საზოგადოებრივი ჯგუფი „დაიცავი მშვიდობა“ ინიციატივით გამოვედით და პროკურატურაში განცხადება შევიტანეთ, რათა 2008 წლის მოვლენებთან დაკავშირებით სააკაშვილისა და იმ პირების მიმართ, ვინც საქართველოს მარცხი გამოიწვია, გამოძიება დაწყებულიყო. პროკურატურამ განცხადება რეაგირების გარეშე დატოვა. ხელისუფლებამ ეს საქმე უნდა გამოიძიოს. გაუგებარია, რას ელოდება პროკურატურა?! ქვეყნის, ხალხის წინაშე უმძიმესი დანაშაულია ჩადენილი, რაზეც დამნაშავე პირებმა პასუხი უნდა აგონ. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რასაც ყურადღების მიქცევა სჭირდება.



**თამარ შველიძე**  
555 23 28 24  
გაბრძანება იმეხება

# ...როცა სოფლა თავეი აქვით...

## 483.

როპლები“ და ეწინააღმდეგებოდნენ „პურისტებს“, მაგრამ იმარჯვეს „ძალიან ქართველებმა“ და ასე მივიღეთ „ზედმეტად ქართული“ ლექსიკონი.

ყველაფრის სათავე უცოდინარობაა. ადამიანი, შეიძლება, განათლებული იყოს, მაგრამ კონკრეტული მიმართულებით სრული უცოდინარი ბრძანდებოდეს და მხოლოდ იმის გამო, რომ ავტორიტეტი აქვს გარკვეულ წრეებში, რატომ უნდა ჩაბარდეს მას ის მიმართულება, რომელზეც წარმოდგენა არ აქვს?

ჰგონიათ და მის ჩანაცვლებას ინგლისურით ცდილობენ.

ისინი, ვინც ქართულ ენაში რუსულ გავლენაზე საუბრობენ, ან უმეტესად არიან, ან შეგნებულნი მავნებლები, რადგან სიმართლის თქმა არ უნდათ და ცრუობენ.

რუსულიდან ქართულში ბევრი ინდოევროპული ძირის მქონე სიტყვა და ლათინური ძირის ფრანგული სიტყვა შემოვიდა. ასე რომ, რუსული ენის გავლენით, ქართული ენა ნაწილობრივ „გავეროპელდა“. მაგალითად: პრიორიტეტული — უპირატესი; რეზულტატი — შედეგი; ექსპერიმენტი — ცდა; კომფორტი — სიმყუდრო-



უამრავი უცხო სიტყვაა შემოსული ქართულში, რომელსაც ქართული შესატყვისი აქვს, თანაც, რამდენიმე, რატომ ამკვიდრებ, ვიღაცა ხარ, ბარბაროზმებს, როდესაც შენი მშვენიერი ქართული ენა გაქვს? — ეს ხომ შენი სამშობლოს მტრობაა!

„გოგებაშვილი ამბობდა, 9 წლამდე არ შეიძლება სხვა ენის სწავლაო. მიუხედავად დიდი თავყანისცემისა გოგებაშვილის მიმართ, მე წინააღმდეგი ვარ, — ნებისმიერ წლამდე არ შეიძლება! ჯერ უნდა მოხდეს მისი ფორმირება მის ენაზე, კულტურაზე, მის ხე-ჩვეულებაზე, მის გვარზე, მის ჯილაგზე!.. ეროვნება ამოუღიათ, მაშინ სახელი ამოვიღებ, გვარ-

ვე; კომპენსაცია — ანაზღაურება; ტალანტი — ნიჭი; ნეგატიური — უარყოფითი; კორუფცია — მექრთამეობა და ა.შ. უამრავი.

ერთია, რომ რომელიღაც ევროპული ენიდან (ამ შემთხვევაში მხოლოდ დასავლეთზე ვთქვათ) შემოსული სიტყვებით არის ჩანაცვლებული ქართული სიტყვები და უმთავრესი — საშინელებაა უცოდინარი ბრბო!

ინსტრუქცია (ლათ.) — დარიგება, რჩევა ქართულად, რას გვიშავეს, ნეტავ? და ასეთი უამრავი, მაგალითად, ლად ქართულად: დეტონატორი (ამჭექი), ოპტიკური მინა (ჭვირმინა), პიგრომეტრი (ნესტმომი), ფოსფორაცია (თვითნათობა), ფურერცენცია (მნათობა),



საც ამოვიღებენ ალბათ — ვინ არიან ესენი, ეს ხალხი, გამაგებინეთ ერთი!“ — ბობოქრობდა ოტია იოსელიანი.

დღევანდელი საერთაშორისო ტერმინები რომ მოსწონთ და ერცხვინებთ თავიანთი მშობლიური ენა, სწორედ ეს არის ტვინის გამორეცხვის ერთ-ერთი შედეგი...

დღევანდელი რუსოფობიური გამოხდომების ფონზე განსაკუთრებით გამოჩნდა უცოდინარობა. ბევრი სიტყვა, რომელიც ევროპიდან არის შესული რუსეთში და რუსულიდან ქართულში, რუსული

ლუმინისცენცია (თანანათობა), ფოტომეტრი (შუქმზომი), პიკნომეტრი (სიმკვრივზომი), ელექტრომეტრი (ელმზომი) და ა.შ.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, ქართველი „პურისტების“ ბევრმა ტერმინმა მაინც დაიმკვიდრა ადგილი და ენის ბუნებრივ ნაწილად იქცა. მაგალითად: დენი, ელდენი, ძრავა, სადენი, წნეხი, ხსნარი, ძალოსანი, ფეხბურთი და სხვა მრავალი.

**ნიკო დაუშვილი**  
(გაბრძანება იმეხება)



საფრანგეთში მთელი ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია საყოველთაო საპროტესტო აქციები.

მაკრონი ცდილობს დამოუკიდებელი პოლიტიკოსის იმიჯის შექმნას, რაც არ გამოდის. ის ჯერ კიდევ ოთხი წლის წინათ აცხადებდა „ნატო-ს ტენის სიკვდილზე“. ამ გამონათქვამის მიუხედავად, მას გარკვეულ ანგარიშს უწევდნენ. ახლანა, ჩინეთში ვიზიტის შემდეგ, ევროპის სუვერენიტეტზე ალაპარაკდა. „აშშ-ს ბრმა არ უნდა მივყვით“, — განაცხადა მან ინტერვიუში. ექსპერტების შეფასებით, აშშ-ისგან საფრანგეთის ავტონომიურად მოქმედება შეუძლებელია, მით უფრო, მაკრონის პრეზიდენტობისას. პოლიტოლოგები ირონიულად აღნიშნავენ, რომ მაკრონი

სუფლებასთან, სავარაუდოდ, ყოველივე მომავალში გამოჩნდება.

აპრილის თვეში ჩინეთს დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. მაკრონის შემდეგ იქ გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ანალენა ბერბოკი ჩავიდა. მასთან ერთად ევროკავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ჟოზეპ ბარელიც აპირებდა ჩასვლას, მაგრამ ავადმყოფობის მიზეზით ვერ მოახერხა. კულუარული ინფორმაციით, ბარელი შეგნებულად არ წავიდა ჩინეთში, რადგან ურსულა ფონ დერ ლაინი იქ ცივად მიიღეს — არანაირი ოფიციალური დახვედრა-გაცდლება არ მოუწევიათ მისთვის. მეტიც, ჩვეულებრივი ტურისტის მსგავსად მიიღეს და გაცივდეს საერთო ტერმინალიდან. ბერბოკი მხოლოდ ჩინელ კოლეგას, ცინ განს

ფუმო კისიდაზე ტერაქტის განხორციელების მცდელობა გახდა. პოლიტოლოგები შემოთვლით აღნიშნავენ, რომ ამომავალი შხის ქვეყანაში გაზშირდა პოლიტიკოსებზე შეტევები. 9 თვის წინათ ვერაგულად მოკლეს იაპონიის ერთ-ერთი წარმატებული ყოფილი პრემიერი სინძო აბე. ამჯერად კასიდას დაცვამ შეძლო თავდამსხმელის განეიტრალება და დაკავება. G-7-ის შეხვედრის შედეგად, რომ ქვეყნები გააგრძელებენ უკრაინისთვის ფინანსურ დახმარებას, რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებას და ჩინეთის შეკავებას. თუმცა, ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ G-7-ის სამიტზე ერთსულოვნება არ ყოფილა.

გასულ კვირას გერმანიაში გაიმართა უკრაინის მეგობარი ქვეყნების მე-11, მორიგი შეხვედრა, რომელიც რამშტაინის სამხედრო ბაზაზე ტარდება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრი ლოიდ ოსტინი უკრაინელებს დაპატიმრა, რომ მათ „აბრამსის“ ტიპის 31 ტანკს გადასცემს. რამშტაინში შეთანხმდნენ, რომ უკრაინას მიაწვდიან სხვადასხვა ტიპის საარტილერიო დანადგარებს და ჭურვებს. ავიაციის შესახებ არაფერი უთქვამთ.

უკრაინაში ჩავიდა ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი, რომელიც კვირში პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის შეხვდა. „... ჩვენ უკრაინას ვაწვდით იარაღს.

# აფრიკას სხსლის ალგია

კვლავ გაურკვეველი და ბუნდოვანია დღესდღეობით არსებული პოლიტიკური ვითარება. საუბედუროდ, ჩიხიდან გამოსავალს არავენ ეძებს. მოქმედი პოლიტიკოსები, ქვეყნების მეთაურები თავიანთი პირადი ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ. ამასობაში კი „ცხელი წერტილების“ რაოდენობა მატულობს, რაც, შესაძლოა, მსოფლიო ბირთვულ ომში გადაიზარდოს. პოლიტოლოგები მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს შემოთვლით აკვირდებიან.

აფრიკის კონტინენტზე რამდენიმე ქვეყანა, სადაც მეტ-ნაკლები სიმშვიდე ბოლო 30 წლის განმავლობაში. გავიხსენოთ მე-20 საუკუნის ბოლო ათწლეული, სომალელი მეკობრეები, რომლებიც სავაჭრო და სატვირთო გემებს ატერორებდნენ და ძარცვავდნენ. შეიარაღებული დაპირისპირება მალში... სამწუხაროდ, სამეაროში არსებული ცხელ წერტილებს სუდანში დაწყებული სამოქალაქო ომი დაემატა — ერთმანეთს ქვეყნის ორი შეიარაღებული ძალა დაუპირისპირდა — თავდაცვის სამინისტროს და სპეციალური დანიშნულების რაზმები. ფაქტობრივად, ქვეყანაში ხელი-სუფლებსთვის ბრძოლა დაიწყო. ოთხი წლის წინათ სამხედროებმა სამოქალაქო მთავრობა დაამხეს და ხელში აიღეს ძალაუფლება. ამის შემდეგ ვითარება ქვეყანაში დამშვიდდა, არსებულმა ხელისუფლებამ დაიწყო ეკონომიკის აღდგენა. საინტერესოა, რომ სუდანთან ეკონომიკური ხელშეკრულებები გააფორმეს ჩინეთმა და რუსეთმა. ექსპერტების შეფასებით, სწორედ ეს გარემოება გახდა შეიარაღებული დაპირისპირების მიზეზი. ოფიციალური მონაცემებით, დაღუპულია 700-მდე სამოქალაქო პირი, მათ შორის, ბავშვები და გაერთი-

ანებული ერების ორგანიზაციის სამი თანამშრომელი. ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდა, საკუთარი მოქალაქეების ევაკუირებისთვის სამხედროები გაეგზავნა. პოლიტოლოგები შიშობენ, რომ ომის ცეცხლი სუდანთან, შესაძლოა, კონტინენტის სხვა ქვეყნებშიც გაერცვლებს. მომხდარით შემოთვლილები არიან და მხარეებს ცეცხლის შეწყვეტისა და მოლაპარაკებებისკენ მოუწოდებენ გაეროში, თუმცა, მომავლის პროგნოზირებისგან ექსპერტ-პოლიტოლოგები თავს იკავებენ.

საფრანგეთში ისევ დაძაბული ვითარებაა, სადაც მოსახლეობის საპროტესტო გამოსვლები ახალი ძალით გრძელდება. მიზეზი საქონის რეფორმაა, რომელიც ქვეყნის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა პარლამენტის თანხობის გარეშე, ერთპიროვნულად მიიღო. უფრო მეტიც, კანონს შუალაშისა მოაწერა ხელი და თავისი მოქმედებით კიდევ უფრო გააღვიძა მოსახლეობა. საპროტესტო აქციებზე უკვე ითხოვენ ხელისუფლების და თავად მაკრონის გადადგომასაც კი.

„საფრანგეთში დემოკრატია მოკვდა!“ — გაისმოდა აქციებზე შეძახილები. ორთვიანი დუმილი გასულ კვირას დაარღვია მაკრონმა და მოსახლეობას მიმართა. დაპირებები უხვად დაარია, ბევრი ილაპარაკა და შეეცადა, მათთვის საქონის რეფორმის სიკეთე დაემტკიცებინა. მისდა სამწუხაროდ, სატელევიზიო გამოსვლით ხალხი კიდევ უფრო გაღვიძანდა. მაკრონი ქუჩებშიც გავიდა ხალხთან სასაუბროდ, მაგრამ ყველგან ობსტრუქცია მოუწვეს. ერთმა მოქალაქემ ხელი ჩამოართვა და უთხრა: „მინდა ხელი ჩამოგართვათ, როგორც ყველაზე კორუმპირებული მთავრობის პრეზიდენტს“. 1-ელ მაისს

შარლ დე გოლს ბაძავს და მისი პოლიტიკის გამოხრება სურს, მაგრამ ეს მისთვის მიუწვდომელი ოცნებაა. საერთოდ, მკრეხელობაა მისი დე გოლთან შედარებაც კი.

რუსეთში სი ძინაბის ვიზიტის შემდეგ, მოსკოვში, ამჯერად, ჩინეთის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ლი შანფუ ჩავიდა. რუსი კოლეგის, სერგეი შოიგუს

შეხვდა. ჩინეთისა და ტაივანის ურთიერთობებზე საუბრისას ბრიფინგზე, განმა მკაცრად უთხრა ბერბოკს: „ჩინეთს რაც არ სჭირდება, ეს დასავლეთიდან მასწავლებლება“.

მსოფლიოში ახალი დამოუკიდებელი პოლიტიკოსი გამოჩნდა — ბრაზილიის პრეზიდენტი ლულა და სილვა. იგი ჩინეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა. ერთი



გარდა, იგი რუსეთის პრეზიდენტს, ვლადიმერ პუტინსაც შეხვდა. რა თქმები განიხილეს, თავისთავად, უცნობია. ერთი კია, რომ შანფუ რუსეთში სამი დღე იმყოფებოდა.

საინტერესოა, რომ სი ძინაბინმა შანფუ თანამდებობაზე ახლანა, გაზაფხულის დასაწყისში დანიშნა. მინისტრმა უცხოეთში პირველი (თანაც ხანგრძლივი) ვიზიტი რუსეთში განახორციელა. ამასთან, შანფუს აშშ-ის მხრიდან სანქციები აქვს დაწესებული უკვე ხუთი წელია, რადგან ქვეყნისთვის შეიარაღება რუსეთისგან შეიძინა. აშშ ჯერ თანამდებობაზე მისმა დანიშნვამ გააღვიძანა, შემდეგ კი მისმა რუსეთში ჩასვლამ. დასავლური პრესა და ექსპერტები დღემდე ცდილობენ, გამოიცნონ, რატომ იყო მოსკოვში და რაზე შეთანხმდა იქაურ ხელი-

შეხვედრით გასაკვირი არაფერია, რადგან ბრაზილია და ჩინეთი პოლიტიკური გაერთიანება ბრიქსის წევრები არიან (ამ ორგანიზაციის წევრები არიან, ასევე, რუსეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინდოეთი). საინტერესოა, რომ ლულამ უარი თქვა აშშ-ში ჩასვლას და ღონისძიებაში „დემოკრატისთვის“ მონაწილეობაზე. ჩინეთში ლულა უკრაინა-რუსეთს შორის მშვიდობის დამყარების იდეით გამოვიდა, რისკენაც ასევე აშშ-საც მოუწოდებდა. მისივე თქმით, უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტაზე იმუშავებს. აღნიშნულ ჯგუფში ის ქვეყნები უნდა გაერთიანდნენ, რომლებიც არანაირი ფორმით არ არიან ჩართული კონფლიქტში. ჩინეთიდან ლულა საუდის არაბეთში გაემგზავრა, სადაც კიდევ ერთი სენსაციური იდეა გაახმოვანა — ქვეყნებმა ვაჭრობა თავიანთ ეროვნულ ვალუტებში განახორციელონ და არა აშშ-ის დოლარით. ვიზიტების შემდეგ ლულამ სამშობლოში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს უმასპინძლა.

დახურულ, მკაცრი დაცვის რეჟიმში გაიმართა იაპონიაში „დიდი შვიდეულის“ საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი. მკაცრი დაცვის მიზეზი იაპონიის პრემიერ-მინისტრ

როდესაც ჩათვლიან, რომ მზად არიან, თავად გადაწყვიტონ კონტრშეტევება გადასვლას და გაიმარჯვებენ“, — განაცხადა ბრიფინგზე სტოლტენბერგმა. მისივე თქმით, უკრაინა ადრე თუ გვიან ნატო-ს წევრი გახდება, მაგრამ მიახლოებითი ვადაც არ დაუსახელებია.

უცნაური სიტუაცია შეიქმნა უკრაინის მხარდამჭერი ქვეყნების მხრიდან. პოლონეთმა განაცხადა, რომ უკრაინიდან ხორბალს აღარ შეიძენს. უკრაინისგან ხორბლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების შექმნაზე უარს ამბობენ უნგრეთი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, რუმინეთი. მიზეზი შეტანილი პროდუქტების დაბალი ფასია, რაც მნიშვნელოვნად აზარალებს აღნიშნული ქვეყნების ფერმერებს. ასევე აღმოჩნდა, რომ ხორბალი უზარისხო, ტექნიკურია, გაჯერებულია სხვადასხვა ქიმიკატებით. პოლონეთმა „შედავით“ გაუწია მეზობელს და ტრანზიტის ნება დართო. მართალია, ევროკავშირმა თითო დაუქნა აღნიშნულ ქვეყნებს, „ჩვენი გადასაწყვეტია, ვისგან შეიძენთ პროდუქციასო“, მაგრამ ჯერაც არაფერი შეცვლილა. ასეთი ყოფილა ევროპული მეგობრობა.



# გელოდი ფოცხიშვილი – 60 წელი სხენაზე



ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, ცნობილი ქორეოგრაფის **გელოდი ფოცხიშვილის** სხენაზე მოღვაწეობის 60 წელთან დაკავშირებული საღამო საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით თბილისის ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა.

ღონისძიებას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი დაესწრო. მან აღნიშნა, რომ ანსამბლი „ფოცხიშვილები“ არის

კერძო ორგანიზაცია, ის არ არის სახელმწიფოს სუფსიდიან და შესაბამისად ანსამბლი საკუთარი ძალისხმევით წარმოადგენს და დებს შედეგს. მინისტრმა მადლობა გადაუხადა მთელ კოლექტივს ასეთი დიდი შრომისთვის.

ვეროპასა და ამერიკაში გამართული გრანდიოზული ტურნეს შემდეგ საქართველოს სამეფო ნაციონალურმა ბალეტმა საიუბილეო კონცერტზე წარმოადგინა როგორც ძველი, ასევე ახალი ქორეოგრაფიული ნიმუშები. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ: საქართველოს სამეფო ნაციონალ-

ური ბალეტის დასი და სოლისტები, ასევე ნიდერლანდების სახელმწიფო ბალეტის სოლისტები გიორგი ფოცხიშვილი (გელოდი ფოცხიშვილის შვილიშვილი) და პრინც ბალერინა ანა ციგანკოვა.

ცნობილი ქორეოგრაფი, „ფოცხიშვილების“ ქორეოგრაფიული დინასტიის ფუძემდებელი გელოდი ფოცხიშვილი 60 წელია ქართულ ხელოვნებას ემსახურება. იგი 1994-1999 წლებში გახლდათ საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მთავარი ბალეტმეისტერი. არის საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიასთან არსებული მოცეკვავეთა ანსამბლის – „მეტეხისა“ და საბავშვო სტუდია „მეტეხის“ დამფუძნებელი. 1989 წელს თბილისის სპორტის სასახლეში დააფუძნა შოუბისა და სპორტულ სანახაობათა ასოციაცია. 1997 წლიდან არის საქართველოს ქორეოგრაფთა კავშირის განყოფილების გამგე. დადგა არაერთი საცეკვაო ნომერი ცნობილი ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებზე.

გელოდი ფოცხიშვილის ნიჭი და დამსახურება არაერთი ჯილდოთი და პრემიით აღინიშნა. 1998 წელს იგი ქართული ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის დაჯილდოვდა საქართველოს ღირსების ორდენით.

2005 წელს დაჯილდოვდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ქების სიგელით, 2011 წელს – საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის რაინდის ორდენით, 2015 წელს – საქართველოს ქორეოგრაფიული კავშირის ბრწყინვალეების ორდენით. 2015 წელს მას მიენიჭა აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება. 2015 წელს ფილარმონიის წინ გაიხსნა ფოცხიშვილებისა და ანსამბლ „მეტეხის“ ვარსკვლავი“. 2016 წელს მწერალთა და შემოქმედებითი კავშირის ხელოვანთა ოქროს ფონდმა ქარ-

თული ქორეოგრაფიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის მიანიჭა ღვაწლმოსილის წოდება. 2016 წელსვე ქართული კულტურის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის მიიღო კულტურის სამინისტროს ჯილდო „ხელოვნების ქურუმი“. საერთაშორისო ორგანიზაცია „სახალხო დიპლომატიამ“ 2022 წელს გელოდი ფოცხიშვილს პერსონალურად გადასცა „ხალხის სიყვარულის“ ოქროს ჯილდო.

ნიკო ანდრონიკაშვილი



# სკოლა კედლებისა და მერხების გარეშე

სკოლები, რომელსაც კედლები არ აქვს, არ ირეკება ზარი და სკოლის დირექტორთანაც არავინ დაეძვარება, სადაც მოსაწყენი ამოცანების ნაცვლად პრაქტიკულ გამოკვლევებს ატარებენ, უკანასკნელ წლებში უფრო და უფრო პოპულარული ხდება.

მსოფლიო ომდენად სწრაფად იცვლება, რომ შობილები იძულებულნი არიან, დაფიქრდნენ საკუთარი შვილებისთვის საგანმანათლებლო სისტემის კორექტირებაზე და ბუნებასთან, იმ გარემოში დაბრუნებაზე, სადაც ბავშვები უკეთ შეიმეცნებენ საკუთარ თავს და სამყაროს...

ანებთან მისი ურთიერთობები უნდა იყოს. ეკოლოგია არამხოლოდ ბუნების, ადამიანის, მცენარეებისა და ცხოველების შესახებ მეცნიერება, არამედ მათ შორის ურთიერთქმედების შესახებ სწავლებაა. ბავშვები აქ სწავლობენ შემოქმედებითად აზროვნებას, აქტიურად მოქმედებას, რეალურ პირობებში ადაპტირებას და წარუმატებლობების დაძლევას. სწავლების ორგანიზება ითვალისწინებს მოსწავლეების თანამშრომლობას, პასუხისმგებლობისა და ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას.

**ბალის „მწვანე სკოლის“ გამოსვლილება**

პირველი „მწვანე სკოლა“ ბალიზე 2008 წელს გაიხსნა. მისი დამაარსებლები კანადელი წველი — ჯობ და სინტია ჰარდი იყვნენ. ჯონი წარმატებული იუველიერი გახდა, მაგრამ მთელი ცხოვრების განმავლობაში გაჰყვა სკოლის მიმართ შიში, მას დისლექსია ჰქონდა და სწავლების სტანდარტული მეთოდებს ძველად ითვისებდა. ჯობის და სინტიას მიერ არარსებული სკოლა ინდონეზიის ჯუნგლებში ბამბუკისგან ააგეს, რომელიც სუფ-

მომარებისა და ეკოლოგიურობის პრინციპებზე. მთავარი კი, რა თქმა უნდა, ბუნებაა. როგორც ბალის, ასევე ახალი ზელანდიის სკოლების შემქმნელები მიიჩნევენ, რომ ცხოვრების ასეთი წესი საკუთარი თავის შეცნობის, საკუთარ თავთან და გარემოსთან ურთიერთობის შესანიშნავი საშუალებაა.

## როგორ სწავლობენ „მწვანე სკოლაში“

„მწვანე სკოლაში“ ცხოვრება და სწავლა განსაკუთრებით იმით არის მნიშვნელოვანი, რომ აქ დაცულია ემოციური უსაფრთხოება. გარდა ამისა, სკოლის ხელმძღვანელები დარწმუნებული არიან, რომ ბუნებასთან ურთიერთობის შედეგად ბავშვებს შესაძლებლობა ექმნებათ, გამოავლინონ საკუთარი უნარები და პოტენციალი.

მიუხედავად სწავლების ასეთი ფორმატის მომხიბვლელობისა, ყველა ოჯახს როდი სურს, მისმა ბავშვმა ამ სკოლაში ისწავლოს. საქმე გადასახადში როდია. მიუხედავად იმისა, რომ აქ სწავლა საკმაოდ ძვირი ღირს, ბუნებასთან დაბრუნება, რაც უნდა პარადოქსული იყოს, ბევრი მშობლისთვის ძალიან პროგრესული ნაბიჯია.

ბავშვების უსაფრთხოების საკითხები დიდი სიფრთხილით მუშავდება და იმ ოჯახებს, ვინც ამ სკოლაში თავიანთი ბავშვების სწავლებისა და განვითარებისთვის სასურველ პირობებს ხედავს, დიდი სიხარულით უღებენ კარს.

2020 წლის პანდემიამ, ერთი მხრივ დაანგრა ბავშვთა აღზრდისა და სწავლების სფეროში არსებული მიდგომები, მეორე მხრივ კი სკოლების ახალი ფორმატების შექმნაზეც დააფიქრა ადამიანები. შესაძლოა, ის ფასეულობები, რასაც „ახალი ზელანდიის“ მწვანე სკოლა ქადაგებს, ახლო მომავალში სხვა ქვეყნებისთვისაც პრიორიტეტული გახდეს.

შესაძლოა, ასეთი სკოლები არამარტო ბუნებასთან დაბრუნება, არამედ განვითარების უფრო მაღალ დონეზე გადასვლა უფროა.

ბელა გველიანი



სკოლაში ცხოვრება რამდენიმე ძირითადი პრინციპის დაცვით მიმდინარეობს, რომელთა შორისაა სხვების მიმართ თანაგრძობა და ზრუნვა, პატიოსნება და საკუთარი აზრებისა და ქცევის ეთიკურობა, ჯგუფთან მტკიცე ურთიერთობების აგება და სწრაფვა, რათა ადამიანი და გარემო, რაც შეიძლება, მეტ ხანს დარჩეს სუფთა.

ახალზელანდიურ „მწვანე სკოლაში“ დიდი ყურადღება ექცევა ადგილობრივ ტომებთან ურთიერთობას. მოსწავლეებმა მათი ენა იცან, სკოლის გახსნის ცერემონიას კი მათორის ტომის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

თა პლანეტაზე ეკოლოგიური არსებობისთვის მოძრაობის განსახიერება გახდა.

ბალის სკოლა მაქსიმალურად ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები რესურსები მოიხმაროს და მინიმალური გავლენა მოახდინოს გარემოზე. სამშენებლო მასალად ბამბუკის არჩევა იმან გამოიწვია, რომ ის ძალიან სწრაფად იზრდება.

სკოლა ელექტროენერჯის მზის ბატარეების საშუალებით და მდინარიდან იღებს. ბოსტანში კი ერთად მუშაობენ მოსწავლეები და მასწავლებლები და სკოლისთვის საჭირო ბოსტნეული მოჰყავთ.

გაკვეთილები აგებულია მინიმალური

მოგესხებათ, საკუთარი სახლი მაქვს საკუთარი ეზოთი და ყველაფერი საკუთარით. გუშინწინ გავიხედე და დაეინახე, რომ რაღაც მოზრდილი უცხო მწერი დალოდავს. ნანული დეიდა მყავს მეზობლად, რომელიც ჩემზე ექვსი წლით უმცროსია. გაემახე, მეთქი, ეს რა მწერია?

შემოვთხო, ეცა, გაგლიჯა და გავარდა.

უკან გავეკიდე, მეთქი, ხომ არ გაგაფრდა?

ელვისებური სისწრაფით „ჩაამარინადა“ ნაწილი სპირტში, ნაწილი — ხეთში და ამიხსნა, რომ აღარ ახსოვს, ბებია რაწაირად დაარია, მორიელის ნაკბენზე როგორ უნდა წაისვა ის სითხე. საქმეს ვარკვევით და ერვანდა დამადგა გამობურცული გულისჯობით: პა, რა ხდებო?

მოკლედ მოუყვები. მხოლოდ ის იკითხა: ეგ რა პონტია, ზაკუსკაო?

— რა „ზაკუსკა“, კაცო, მორიელაა, „სკარპიონ“, გვიკბენს და გვეტირება ყოფა-მეთქი.

— და რატომ გვიკბენს, „ზუბი“ აქვს? — მეთქი, გავცხებ ახლა ამას, მაგრამ „ახტამარი“ იმზირებოდა მისი ქურთუკიდან.

ეს ნანული აშარდა, არაფრის თქვენ არ გჯერათ და რო გიკბენთ, მე აღარ მომადგეთო.

შემოვილაღეთ ჩემთან და ერვანდამ ჩურჩულთ მკითხა: ზურაჯან, ამ ნანულას ხო არ აფრიალებს, ჩვენ რატომ უნდა გვიკბინოს? და „სვერხუ“ კიდევ: ლენინაკანიდან ამბები მითხრეს, მტკვარში გადახტები!

აი, ეს და ის რო გვაფთ, რათ გინდეთ? ამბობენ, სიაფანდი ამბავია, მაგრამ აბა, დაფიქრდი, ექიმი კაცი (მამა-ძია) მაიმუნას ჩუტყვავილათი (ანა წითლიძე) უფრო დაინტერესდება, თუ ვადაგასული ქიშმიშით (გიული ალასანია)? მოკლედ, ერვა! მომავალ წელს აქ „პერეგაროტი“ კეთდება, თან ხომიანი.

დახატე! ერვა: ვიდაცები გარბიან, ვიდაცები რჩებიან!

ერვანდა განთქმული ინფორმატორია, ყველაფერი იცის, ყველა საქმეში ერკვევა...

ცოტა გადავუხვევე სათქმელს და ანეკდოტად ცნობილ ამბავს გავიხსენებ: გურიაში, სოფელ შემოქმედთან სასულიერო პირმა ტაქსი გააჩერა: ლიხაურამდე ვადამიყვან და ზუთ ლარს მოგცემო. არაო, ვერაო. ბოლოს გაკჭრა მინც ანაფორამ და გზაში „გაუნდო“ მძღოლი, მამაჩემი არ იყო მორწმუნე კაცი და, ეგებ, აქედან შეაწიო ლოცვა, არ მინდა შენი ზუთი ლარიო. კაი, კაცო! ლიხაურამდე არ მიგყავდი 5 ლარად და მე მამაშენი გამოვიყვანო ჯოჯოხეთიდან ზუთ ლარადო?

ასეა ამათი საქმეც — „5“ დაირქვეს და არიან ასე, ძალი პატრონს ვერ ცნობს!

— ერვანდ, ხომ ხედავ, დომხალია, შენ რაღა ტვინს ჭამ? — შევუღრინე.

— დომხალი კი არა, სასირეთია, კლიანუს!

— ბიჯო, შენ იცი, რას გეტყვი? მინამ ლამაზი ხარ და კოხტა ცხვირი გაქვს საქართველოში, ამბებში გაერკვიე! სასირეთი შენკენ მოიკითხე!

— დაიცა, ნე ტოტ ვთქვი რამე?

— ისტორია დიდია, მაგრამ მოკლედ გეტყვი: 13 საუკუნის წინათ სასირეთის ჭალებში ბაგრატ IV-სა და ლაპარტ ბაღვაშს შორის ისეთი ომი მოხდა, რო არ დაგესიზმრება...

— დაიცა, მაგ დროსაც „ნაციონალური“ იყვნენ იქა? — გაოგნდა

ერვანდა.

ძალიან ძნელია, ერვანდას ბოლომდე გააგებინო საქმის არსი, მაგრამ ძირითადს მაინც ეგებს, რა.

ისეთი ალალია ერვანდა, როგორ მეთქვა რომ გიორგი მახინაშვილიც სასირეთიდან იყო.

ერვანდას საიდუმლოდ ამცნეს ლენინაკანიდან, რომ საქართველოში „ამბავი“ იწყება!

რა თქმა უნდა, დაიწყება!

ერვანდამ ვერც ზაბეიშვილის გვარი თქვა ადამიანურად, ვერც მელიასი — აი, მეგი გოცირიძეზე, მია ორჯონიკიძეზე და სალომე სამადაშვილზე სულ აიბნა — ხან ასლამაზოვა იმაზა, ხან — ტერ-ოვანესოვა, მესამეზე ისეთს ამბობდა, მეც ვერ დავიხსოვებ.

იმაზე კი ვიცინე, პოლონეთში „ზაბე“ და ანა წითლიძე რატომ გაუშვეს ღამისთევით, „ზაბეს“ ცოლს რომ არ ევჭვიანაო? მაგრამ საქმის არსს მაინც ვერ ჩავწვდი ბოლომდე, ფოტოზე ის ქალი ვინდა იყო შუაგულში რომ იდგა-მეთქი და ვერავინ მიპასუხა ვისი დეიდა იყო.

მელაა წკმუა, „ზაბე“ ღმუა და მე ერვანდა სულ დავმტერდით, ლენინაკანიც კი აღარ გვევლის, ვის რა უნდა, ვერ გაგვივია?

უცხად ერვანდამ დაარტყა: ზურაჯან, მაგ ჩვენს სალომე-სათინიკას, კაცმა რომ თქვას, ძალიანაც პრეტენზია უნდა ჰქონდეს: „გასუდარსტვენნი“ დროშა სომხური გვაქვს; პრეზიდენტი სომეხი გვაყავდა; ყველა „გარადსკოი უსტაბაში“ სომეხი

ეს ჩვენის უქარქაშო გუბაზი სადღა დაგვეკარგა, სეფე-სიტყვა არ უნდა თქვას? თუ ისევ დიდგორის ომშია ისევ და არ სცალია?

ზვიად კუბრავა გმინავს, სააკაშვილის გვამს ფეხს ვერავინ გადააბიჯებო, — ვინმემ მძინარეს მაინც ჩასწურულეთ, რომ მიშა ცოცხალია...

მელაა კი ზის და იცინის, იცინის და კედება სიცილით...

გვერდიდან ვიდაც ქალი გამოენთო და ახლდა გავიგე, რომ ევროკავშირიდან შემოდის თურმე ყველაფერი, მათ შორის: ნემსი, ზაჭაპური, რძე, მაწონი... — სად შემიძლია ამდენი? უბედურება ის გახლავთ, რომ სჯერათ საკუთარი უტყინობის ნაყოფის...

ერთმანეთს აღარ დავუპირის-

# სასირეთი



პოლიტიკურად აფიტირებული იყო ერვანდა, ვეღარ ვაშოშინებდი!

— აგე, ნახე! მიშამ შვიდი ენა იცის და ბალნიცამია, აბა, ეგ შეიძლება?!

— ჩიკატილომ ოცდასამი ენა იცოდა, რა იყო, რო?

— მართლა? — ხმა გაეპარა ერვანდას, არც მე დავიხიე უკან, აბა, ამას ისე რა გააჩერებდა, ამიტომ „უძლიერიესი არგუმენტი“ ვთხლიშე.

ეს დღევანა, სიცილი ვერ დამიოკებია.

ერთი ამბავი არ მქონდა მონელებული და ამას მეორე გაუგებრობა მოსდევდა — განა ასე შეიძლება?

საიდან დავიწყო, ისიც არ ვიცი...

ნეტა, „ზაბეს“ მიტინგზე თუ რაღაც თავყრილობაზე წარმოთქმული ლექსი მაინც მომეხსინა ბოლომდე, დავრჩი პოეზიას უზიარებელი, თავი არ ვიცი, ბოლო არ ვიცი:

„... გამომამწყვდიეთ, დამსაჯეთ, პუტინს ვუშნადებ ძველსაო, ხალხი კი ცხვირ-პირს დავიმტვრევთ, განანებინებ ბევრსაო. დამატუსაღეთ ციხეში, ხმას ვეღარ ვუწვდენ ხალხსაო...“

მიტინგზე ხმა გაისმა, სუს-ის მიერ ჩანერგილი ძალი აქაც გაიჩითაო და გავოცდი, ანუ ეს „დიდი პოეტი“ დიდი ძალიცაა-მეთქი? — ვიკითხე საქმეში გაუცნობიერებელმა და სანამ არ შემომიძახეს, ვერ მივხვდი, რომ წითელ ოთხფეხა ძაღლზე იყო საუბარი. ბოლოში გავარკვიე, თურმე „ზაბეს“ მრავალათასიანი მიტინგი ყოფილა. მერე რა, თუ ათასები არ ჩანდა და მხოლოდ რამდენიმე დამზრალი უსაქმური იდგა?

გვყავდა და აპა, ეგაც იყო! სათინიკო პრინცესა იყო, სომხეთის დედოფალი, როგორც რომ მეფე არტაშ I-ის ცოლი. იცი, თურმე, როგორი „ლუბოვი“ ჰქონდათ? მოესეს ზორენცი ამბობს, არა, კი არ ამბობს, დაფე დაწერა. გეუბნები, რააა, იცენტრებოდა!

— ბიჯო, ვისზე ამბობ, „პარიჟანკაზე“? — სხვა სალომე არ გამახსენდა და, არაო, მიორეზო.

ვა, პაიკანუმ-სალომეჯან?

არა, არაფერს ვერჩი ქალებს, ოღონდ ქალი იყო, მაგრამ მაინც დავინტერესდი: ეს ერვანდა მე მიტევს „ახტამარი“ ემშაკურად და ერვანდას ყველა ნათესავი — მთელ საქართველოს?

ნანულიმ შემოგვივარა, მორიელეები მზად მაქვს, ჭირი ჭამეთო და ლობიანები გვესროლა. ჩვენ რაღა უნდა გვექნა, ვიძალადეთ, მოვახიეთ კაბის კალთა და ჩვენთან დავსვით. კიდევ კარგი, რომ ვიძალადეთ, ისეთი ამბები გვითხრა, მე და ერვანდა ერთმანეთს ვეღარ ვცნობდით.

მამასადამე, ნანულას თქმით, რადგან „ზაბე-ბიჭი“ უცხო ენის უცოდინარია, ამიტომ დიპლომატიურ გაგებაში ვერ გამოდგება, უდებლუ ხო სხლავს, რააა?!

ეს კასტეტა-ციცკარიშვილი საიდანა ამოაძვინეს, წავიდეს, „ბადაგონი“ დადვაროს და შიგ იჭყუმალა-ოს, ვის დაჰკარგვია კუს ტბის ტყეში? მამა-ძია გერონტოფილის ამბავიც გარკვეულია, „არავის შევარჩენ, თქვას, რომ საქართველოს ჰყავს დამნაშავე მესამე პრეზიდენტიო“, — ეგრე იცის უხმოზე სლოკინმა; „მკვლელებმა სისტემამ სააკაშვილს სასწორი წართვაო“, — ერიპააა...

პირდეთ, ახლა გაერთიანების დრო არისო და მთლად უკუღმა იქცევიან, სანაპიროზე რომ ცნობილი შენობაა, არქიტექტურულად გაუგებარი, მაგრამ იმთავითვე აღსანიშნავი, მთლად იმას დაემსგავსნენ — „ვისი ვისაშია“ რომ დაარქვეს, სხვა არაფერი მახსენდება გაუბედურებულ „ნაცმოდრობაზე“...

ვინ დამაცადა მოსვენება, გამოვიხედე და „ზაბე“ დაღადებეს: აქ დგანან ახალგაზრდა, ენერგიული გოგობიჭები, რომლებსაც სურთ, ნორმალური სამუშაო ჰქონდეთო. დავხედე „თანამშრომელ-თანამეინახეებს“ და ბებიაჩემის პარალელური კლასელები მეგონენ. არა, ამით რაღაც ვაქცინა აქეთ გაკეთებული, აი, ისეთი, ქე რომ აქლიავებს...

ეტყობა, გამრავლებამაც მაგრად უჭრით. ისეთებს ამბობენ უკვე, საით გავიხედო, რომ თანამოქალაქეების არ შემრცხვეს სხვის ნაცვლად, აღარ ვიცი. რაღა დროს მამუკა ყურამვილი და ზაზა გოგავაა, მარსზე წყალი აღმოაჩინეს და ანტარქტიდაზე — გაზი!..

ერვანდას დავცინი ხოლმე სიყვარულით: შენმა ნათესავმა მამას უთხრა: პაპიკ, პაპიკ, სლიავი მივიდეთ. შვილო, რამდენჯერ უნდა გითხრა, „სლიავი“ კი არა, „ქლიავი“, — ასეა ამათი ამბავი, „ქლიავი“ იქნება თუ „სლიავი“, ყველაფერი საამო იქნება, ოღონდ ნაცსეკტა იყოს კარგად...

ეს ნაცსეკტანტები, ყველანი ერთნაირად დამტერდნენ, თუ რა სჭირთ?! „მსურს, თხმელა ვიყო, ტანზე მეხვეოდოს სურრო“, — ინტრა ერთმა თავის გაგებაში ზეპოეტურად და „ზაბე“ გაენთო, „მსურს, მუხა ვიყო

შეურიგალი, მაპობდეს მეხიო“. ვენაცვალე დავით თელიას, ხომიანად მიუძღვრა: თქვენ უსუნეთ ლისტვენიცასო. ახლა ამით უხსენი, რა არის „ლისტვენიცა“ — ლარიქსი, თუ პუტინის საიდუმლო აგენტის მეტსახელი...

ლისტვენიცა კი არა, ზაბე-ლინგვისტმა გვიყვირა, ისეთი ოთხი მოთხოვნა მაქვს, თუ არ შეგვიხრულდება, ყურებს დაგაკერინებთ ხელშიო. თურმე რა სდომებია ამ ჩვენის გაჭირვებულს: ლაზარეს თავისუფლება; „დასანქცირებული“ მოსამართლეების დაუფოვნებლივ გადადგომა; მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას გათავისუფლება; დეოლიგარქიზაციის კანონი, სასამართლო და ცენტრალური საარჩევნო კომისიის რეფორმა.

ეს ყველაფერი რომ ჩამოვუთვალე, ერვანდამ შეძლებისდაგვარად დააჭყიტა თვალები, სირჩა, მგონი, გადავლახა და იღუმალი ზმით მკითხა: ზურაჯან, ხომ იცი, რაზე ვარ ნაჯდომი?

— პო, მკვახე გარგარი ესროლე გარეგინ II-ს...

— მასე რატომ იცი? ტუაფსეში მივიდიოდი ჩერეზ ადლერი. იქ ანგელოზი მყავდა, „გალუბაგლაზნაია“. ნუ, „პლაცკარტი“ მინდივარ, რააა. ფული ჩაკერებული მაქვს ჯიბეში. ვა, რა ვაკეთო ამხელა მახინა მატარებელში? ზოგმა თავი გადაწია, ზოგმა ფეხი და ვარ რაა, ინდაურივით. გავიხეთე, ერთი ძია გახეთს მესამედ კითხულობს, თან რას! — „ზარია ვასტოკას!“. მეთქი, ძიაჯან, არ გინდა, რომ ვიმეგობროთ დილაძე? ბიჯოლოო, ამას ლესელიძე ვვარებია, მე კიდევ ბრეფნევი — ხელი რო მტაცეს, დრანდის ციხიდან პირდაპირ არხანგელსკში ამოვყავი თავი. ტო, იცი, როგორ ტეხავს როცა არ იცი, რაზე გიჭვრენ?

— ერვანდ, რა ადლერი, ტუაფსე და დრანდა, ურეე?

— ბიჯოლო, ნაშები-მეთქი, — ყველგან მე ვიყავი. აბა, ნახე, რა ცხვირი მაქვს!

ერვანდას მართლა „კარგი ზომის“ ცხვირი აქვს, მაგრამ რად გინდა, ოხრად რჩება.

ნანული შემოგვივარდა, ყველაფერში აფერიტები როგორ ხართ, ის მწერი მორიელი არ ყოფილაო.

ერვანდამ სრულიად უშეკვლოდ უპასუხა: ნანულიჯან, არ ყოფილა, ტაკ, არ ყოფილა. დაარქვი მელაა და ზაბე, სულ ეგაა, ერთი სპირტშია, მეორე ხეთში — ტრუპები, ნუ! ძალიანაც კარგი, არც მე მიკბენენ, არც ზურას, არც კიდევ შენაააა...

— თქვენ უნდა ჩაგდოთ იმ ზეთში! — მოგვათხლია ნანულიმ და გავიდა.

— ზურაჯან, ეს ნანულია ცოტა აფრენს, „ახტამარი“ აქა მაქვს და ზეთში რა მინდა?

— პო, რა ვიცი, „ნაციონალია“ და ნერვიულობს, ეპატიება-მეთქი.

— რაიოვა? მე ეგ პატიოსანი ქალი მეგონაა... ვსიო, ზეალიდან ეგ აღარ დამანახო, იოვას მომცემს, — გამაფრთხილა ერვანდამ.

შევიპირდი, რომ არ დავანახებ, მაგრამ ისე გვიყვარს ერთმანეთი, წარმოდგენა არ მაქვს, როგორ შევასრულებ „ახტამართან“ „ჩახუტების“ შემდეგ მიცემულ პირობას.

P.S. ეკ, ბიძო, ბიძო, რა დამართე ამათ...

ზურაბ ოზხმირელი

# რა პრაქტიკული ნაბიჯები აქვთ პენსიონერ მოქალაქეებს ლიბერთი ბანკის მიერ

საქმე ეხება ქვეყანაში არსებული პანდემიის დროს სახელმწიფოს მიერ გამოცხადებულ ე.წ. გადავადებულ სესხებს, როდესაც უბრალო მოქალაქეს რატომღაც ეგონა, რომ ქვეყანაში შექმნილი საგანგებო მდგომარეობის გამო აღებული სესხის დაფარვის დრო გადაუადგეს. სინამდვილეში აღმოჩნდა, რომ მათ მიერ საბოლოოდ გადახდილი თანხა სესხის არც ძირს მოჰკლებდა და არც პროცენტს, პირიქით, ხელშეკრულების ვადა ბანკებმა თვითნებურად გაზარდეს.

## შედეგად თუ სასაქონლო?

ბუნებრივია, იბადება კითხვა, მაშინ რას გულისხმობდა ბანკების მიერ გადავადებული სესხების პოლიტიკა პანდემიის დროს, რომელსაც საშედეგადად პერიოდი უწოდეს და დაუბრუნებს თუ არა ბანკი დაზარალებულ მოქალაქეებს სესხზე ზედმეტად გადახდილ პროცენტებს?

ამ კითხვაზე პასუხს ქვემოთ მოთხრობილი ერთი შემთხვევა

ბის თანხმად, თანხის დაფარვის ვადად განისაზღვრა 2022 წლის 14 დეკემბერი. 2019 წლის სექტემბერში ნაწილობრივ დაფარე სესხი წინსწრებით და დავალინება 4050 ლარამდე შევამცირე. პანდემიის გამო „ლიბერთი ბანკმა“, რაც საინფორმაციო საშუალებებითაც გამოცხადდა, პენსიით მოსარგებლე პირებს სამჯერ გადაუვადა ყოველთვიური დავალიანების როგორც ძირის, ასევე, პროცენტის გადახდა, რაც მოიცავდა 2020 წლის აპრილის, მაისის, ივნისისა და დეკემბრის თვეებს. მაგრამ რატომღაც, 2021 წლის იანვრის, მარტის, აპრილის, მაისის, ივნისის თვეებში ბანკმა მხოლოდ პროცენტის თანხა ჩამომაჭრა. თანხის გადახდა უნდა მომხდარიყო მხოლოდ გრაფიკით გათვალისწინებული ვადის ამოწურვის შემდეგ. 2022 წელს გადავამოწმე ინფორმაცია ბანკში ჩემი დარჩენილი დავალიანების შესახებ და აღმოჩნდა, რომ ჩემგან დამოუკიდებლად, ისე, რომ არაფერი ვიცოდი, ბანკს შეუდგენია ახალი პირობები,

თანხა, რომელიც უკვე გადახდილი მქონდა, რადგან ეს უკანასკნელი პენსიიდან მაჭრიდა პროცენტებს“.

რა თქმა უნდა, „ლიბერთი ბანკისგან“ დაზარალებულმა მოქალაქემ სასამართლოს მიმართა დამოითხოვა მის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხის დაბრუნება. ჩვენთვის საინტერესოა თავად „ლიბერთი ბანკის“ პოზიცია. მან სასამართლოს წერილობით უპასუხა: „2020 წლის მარტის თვიდან, ქვეყანაში არსებული პანდემიის გამო, ქვეყნის მთავრობის მითითებით ყველა ბანკმა მიიღო გადაწყვეტილება გრაფიკაში ასახული სესხების გარკვეული პერიოდით გადავადების შესახებ. საწყის ეტაპზე ეს იყო სამთვლიანი პერიოდი და თანხის გადაუხდელობა არ ჩაითვლებოდა დარღვევად. წერილობითი შეთანხმებები ამ პირობებთან დაკავშირებით არ გაფორმებულა, მაგრამ ბანკი თავის მომხმარებელს ინფორმაციას აწვდიდა, როგორც პირადად, ისე სმს-შეტყობინებების მეშვეობით. შეტყობინებები გაიგზავნა იმ ნომრებზე, რომელიც კლიენტს მითითებული ჰქონდა საკონტაქტოდ. ეს წესი გავრცელდა საპენსიო სესხებზე, თუ მომხმარებელს არ სურდა საშედეგადად პერიოდით სარგებლობა, მას უნდა დაეფიქსირებინა წერილობითი უარი ბანკში“.

სასამართლო პროცესზე, როგორც ჩვენი რესპონდენტი ამბობს, „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენელმა ვერ წარმოადგინა ვერცერთი მტკიცებულება იმისა, რომ კლიენტი სათანადოდ იყო ინფორმირებული. თურმე ზოგადი ხასიათის შეტყობინებებს უგზავნიდნენ, რომელსაც ლინკი მოჰყვებოდა და თუ გავითვალისწინებთ პანდემიის პერიოდს, როცა ქვეყანა საგანგებო მდგომარეობაში ცხოვრობდა და შეუძლებელი იყო მიმოსვლა, როგორ შეეძლო მსესხებელს გამსესხებლისათვის მისთვის საჭირო ინფორმაცია წერილობით მიეწოდებინა, ან დაეფიქსირებინა უარი? ამ გარემოებას რომ თავი დაეხრებოთ, წარმოვიდგინოთ ასაკოვანი პენსიონერი, რომელსაც შეტყობინება ტელეფონით მისდის, მით უმეტეს, იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ მათ შორის უმეტესობა ძველი მოდიფიკაციის მობილური ტელეფონებით სარგებლობს, როგორ შეძლებდა, ბანკისათვის აეხსნა, არა, ბატონო, ამ პირობებზე არ ვარ თანახმა, ან



რომელიც ჭკუაშიყოფელი დათანხმდებოდა იმას, რომ, როგორც ეს ჩვენი რესპონდენტის შემთხვევაში მოხდა, ნაცვლად 2024 წლისა, 2026 წლამდე დაეფარა სესხი და თანხმა იქნებოდა ჯერ ისედაც მცირე, ჩამოჭრილი პენსიის მისაღებად? არადა, ბანკი სასამართლო პროცესზე თურმე კვლავ ჯიუტად განაგრძობდა თავისმართლების პოლიტიკას, საშედეგადად პერიოდისათვის სახელმწიფომ მოსახლეობისათვის შეტყობინების ასეთი წესი შემოიღო, აბა, ასიათასობით კლიენტი გვყავს და ყველას ფოსტით ზომ ვერ გაუუგზავნიდით წერილებსო.

არადა, კანონის თანახმად, თუ ხელშეკრულებაში ცვლილება შედის, ის ყველა პირის წერილობით თანხმობას საჭიროებს, ბანკს არ აქვს უფლება, მსესხებლის ნებისგან დამოუკიდებლად ხელშეკრულებებში შეიტანოს ცვლილება და მას კანონის სახე მისცეს. სახელმწიფოზე გადაბრალება, კონკრეტულად კი „ლიბერთი ბანკის“ მხრიდან ცოტა უხერხულიცაა.

ჩვენი საზოგადოების ნდობა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დიდია, თუმცა მათ საქმიანობაში არის ლაფსუსებიც, რაც მძიმედ ურტყამს განსაკუთრებით პენსიონერ მოქალაქეებს. რის შესახებაც აუცილებლად უნდა ითქვას!

ჩვენ არ გვსურს ვინმეს საქმიანობის დაკნინება და შეურაცხყოფა, უბრალოდ, საზოგადოება ბანკებისგან მეტ სიფრთხილეს და ურთიერთობაში მეტ გამჭვირვალობას ითხოვს. არაიურიუსტისათვის მწელია იურიდიულ ლაბირინთებში გზის გაკვლევა, მით უმეტეს, პენსიონერისათვის!

ნებისმიერი ბანკის ხელშეკრულებებს რომ გადახედოთ, აღმოჩნდება, რომ ხელშეკრულების პირობები ისეთი წვრილი შრიფტითაა დაბეჭდილი, რომ არადაფერი ვთქვათ მის შინაარსზე, მწელია, გაერკვე, რას გთავაზობს დამფინანსებელი. სხვათა შორის, მათ პირობებში გარკვევა ხშირად თავად მოსამართლეებსაც უჭირთ და რა დამართება ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელსაც ისღა დარჩენია, უდიდესი გაჭირვების გამო ნებისმიერი პირობის ფასად მიიღოს სასიცოცხლო თანხა!

დაახლოებით ივნისის თვის შუა რიცხვებში, როგორც უკვე ვახსენე, მოსამართლე ეცადაშვილი, ალბათ, ყველა კითხვას გასცემს პასუხს. ჩვენი რესპონდენტი, როგორც დაზარალებულის მოთხოვნა, იურისტების აზრით, საუკეთესო სამართლიანია და მას ზედმეტად გადახდილი თანხა აუცილებლად უნდა დაუბრუნდეს.

არავინ იცის, სხვა ბანკების ასეთივე „სქემით“ რამდენი ადამიანი აღმოჩნდება დაზარალებული. ვფიქრობთ, ამ პრობლემის გაშუქებით არამარტო პრეცედენტს შევქმნით, არამედ დიდ საზოგადოებრივ საქმესაც წამოვიწყებთ.

და ბოლოს, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, ჩვენს მკითხველს ზემოთმოთხრობილი ამბის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებას გამოქვეყნებისთანავე შევთავაზებთ.

ლევან ჭილაძე



ვა პასუხობს, რომელზეც თავის ვერდიქტს რამდენიმე დღეში გამოაცხადებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე თინათინ ეცადაშვილი და ვიდრე ეს შედეგი დადგება, ამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, ჩვენმა მოქალაქეებმა, შესაძლოა, აღმოაჩინონ, რომ ამ შემთხვევაში „ლიბერთი ბანკის“ მხრიდან იგივე სქემით თავადაც დაზარალდნენ და, შესაბამისად, მომავალში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც გაუადვილდეთ.

ნინო მურჯიკიანი ( რესპონდენტის ინტერესებიდან გამომდინარე, მისივე თხოვნით სახელი და გვარი შეცვლილია): „წლებების განმავლობაში პროკურატურის ორგანოებში ვმუშაობდი. წელთა ნამსახურების გამო დამენიშნა პენსია, რის გამოც დავეტოვე სახელმწიფო სამსახური. 2019 წლის 16 ივლისს მივმართე „ლიბერთი ბანკს“ სესხის ასაღებად, რომელმაც ანგარიშზე ჩამირიცხა დამტკიცებული თანხა 5040 ლარი. ხელშეკრულებ

რომლის თანახმადაც, ჩემი სესხის დაფარვის ვადა გაუგრძელდება 2026 წლამდე, ნაცვლად 2022 წლის დეკემბრისა. ასევე აღმოჩნდა, რომ 2021 წლის საშედეგადად პერიოდში გადასახდელი თანხები ე.წ. საშედეგადად პერიოდის დასრულების შემდეგ დაემატა არსებულ დავალიანებას, კერძოდ, სესხის ძირ თანხას და საერთო მოცულობამ 4.482,19 თეთრი შეადგინა. არადა, ამავე ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც მე ბანკმა გამიფორმა, სესხი გაცემული იყო კლებადი გრაფიკით, რაც ნიშნავს იმას, რომ ყოველთვიური გადასახადიდან თავდაპირველად დიდი ნაწილი მიემართება სესხის პროცენტის დასაფარად, ხოლო შედარებით მცირე ნაწილი - სესხის ძირის დასაფარად. შესაბამისად, სესხის ვადის დინებასთან ერთად მცირდება პროცენტის ოდენობაც. მაგრამ მოხდა ისე, რომ პანდემიის დროს, ვითომდა საშედეგადად პერიოდში, „ლიბერთი ბანკმა“ თვითნებურად ააგო ახალი გრაფიკი და ხელახლა დამაკისრა ის



# საქართველოს მთავრობის ინიციატივა უპრეცედენტოა, საიდანაც სიკეთეს ეკონომიკას მიიღებს და მოსახლეობას



საქართველოს მთავრობა ქალაქებისა და კურორტების განვითარების მასშტაბურ 5-წლიან პროგრამას იწყებს, რაზეც ბიუჯეტიდან ჯამურად 1 მილიარდი გამოიყოფა. ამ მიზნით წელს უკვე 200 მილიონი დაიხარჯება. სამუშაოები თერთმეტ ლოკაციაზე დაიწყება. როგორც პრემიერმა აღნიშნა: მოეწყობა და განახლება ახალი და არსებული რეკრეაციული სივრცეები, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები და შეიქმნება ახალი ტურისტული ატრაქციები.

ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროექტების დაწყების განზრახვა, რა თქმა უნდა, კარგია - აღმშენებლობა და ინფრასტრუქტურული განახლება ის მიმართულებაა, რაზეც ქვეყნის ხელისუფლება მუდმივად უნდა ზრუნავდეს. თავის მხრივ, პროგრამა უპრეცედენტოა. ასეთი მიზანმიმართული ღონისძიება აქამდე არ განხორციელებულა. ამასთან, განაცხადში კარგად ჩანს პროექტის მასშტაბები და შესაძლებლობები, აგრეთვე, საერთაშორისო სარეგულირებელი - ესაა დასაქმება, სამშენებლო სფეროსთვის ახალი ობიექტების გაჩენა, სამუშაოების ჩატარებაში კერძო ბიზნესის ჩართვა, ინვესტიციების მოზიდვა, ბრუნვისგან ეკონომიკაზე დადებითი გავლენა და ა.შ. რაც მთავარია, განახლება საინჟინერო ქსელები, კომუნიკაციები, მიწინააღმდეგე გახდება ქალაქების იერსახე, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები. აქედან სიკეთეს ეკონომიკა მიიღებს და მოსახლეობაც, თუმცა ეს ჯერ კიდევ განზრახვაა და უცნობია პროექტის კონკრეტული დეტალები. ახლა კონცეფციების დამუშავება, პროექტირება, სარეკონსტრუქციო თუ ასაშენებელი ახალი ობიექტების, არქიტექტორების, მშენებლების შერჩევა მიმდინარეობს. მოგვიანებით მეტი ინფორმაცია გვექნება და ბევრი რამ გახდება ნათელი, მაგრამ რამდენიმე აქცენტი აქედანვე შეიძლება გავაკეთოთ. მათ შორის: როცა ქვეყანა გეოსტრატეგიული პოტენციალით და გარესამყაროსათვის სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, საფინანსო ინტერესებით არის მიმზიდველი, ურბანული განვითარება ამ პერსპექტივის, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების გარდამავებისა და წესრიგის დამყარების მოტივაციის გარდაუვალი შემადგენელია. ეს „ვერობული არჩევანის“ გადაწყვეტასაც წაადგება. უპირატესად კი ეს საზოგადოების, საკუთარი მოქალაქეების კეთილდღეობისთვის არის საჭირო.

ბორჯომი, ბაკურიანი, ქუთაისი, წყალტუბო, თელავი, ზუგდიდი, ბათუმი, მცხეთა, სტეფანწმინდა, მესტია და ყაზბეგის მუნიციპალიტეტები, ფაქტობრივად, ქვეყნის უმეტესი ნაწილი და რეგიონები, დაექვემდებარება განახლების პროგრამას. შემდგომ საჭიროება მოითხოვს და დაწყებული პროცესი „ჩაითრევს“ სხვა რეგიონებს, ქალაქებს, სოფლებს, ახალი ობიექტებსაც. დაწყებული საქმე გაგრძელდება. კიდევ ერთი, რაც აქვე უნდა შევნიშნოთ, შერჩეულია ისეთი ქალაქები და საკურორტო ზონები, რომლებიც, საკუთრივ, ამ ლოკაციების კეთილმოწყობის გარდა, ტურიზმის სახეობების განვითარებას, მასსადაც, მთლიანად ეკონომიკის აღმავლობას შეუწყობს ხელს. ელემენტარული კომფორტის, შესაბამისი ინფრასტრუქტურის გარეშე, მხოლოდ მთისა და ბარის, ან საინტერესო კანონების ხარჯზე, ტურისტების ნაკადი არ/ვერ გაიზრდება. ამკარად პოზიტიურ მხარეებთან ერთად, იმედი უნდა ვიქონიოთ,

დახვდა, მს ნიშნავს, რომ უცხო-რეპრეზენტაციის განხორციელების მიზნით ეკონომიკის განვითარებას ხელისუფლებას კარგად ესმის პრობლემის არსი და განახლების პროგრამის ამუშავების დროს, დარწმუნებული ვარ, ეკონომიკური ცოდნის ეს ელემენტარული საკითხები გათვალისწინებული ექნება. — საქართველოს მთავრობის განაცხადის თანახმად, შემოდგომაზე იწყება ანაკლიის პორტის მშენებლობაც. ანაკლიის პორტი რა კავშირშია რეგიონული განვითარების პროექტთან და რას გვეტყვი მის მნიშვნელობაზე?

საქართველოს მთავრობის მიერ ინიცირებულ ქალაქებისა და კურორტების განვითარების პროექტთან, შესაძლოა, მას პირდაპირი ბმა არც გააჩნია, თუმცა, ის რეგიონული განვითარების ერთ-ანი სისტემური მიდგომის შემადგენელ ნაწილად უნდა აღვიქვათ. ცხადია, ანაკლიის პორტი რეგიონების გაძლიერებას, შიდა კავშირურთიერთობების განვითარებას და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობას, სტაბილურობის უზრუნველყოფას შეუწყობს ხელს. მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა იმითაცაა განპირობებული, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ის იქნება პირველი ღრმადი პორტი, რომელიც შეძლებს დიდი ზომის გემების მომსახურებას და, თანამედროვეობა ითქვას, ამ მხრივ, მას მთელი სამხრეთი კავკასიის რეგიონისთვისაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. მისი ფუნქციური დატვირთვა დაწესების შემდეგ, კიდევ უფრო იზრდება, რამდენადაც, მთლიანი აზიის უსაფრთხო, უმოკლესი სატრანსპორტო კავშირი ევროპასთან აქ ფოკუსირდება. ფოთთან, ბათუმთან ერთად კონკურენციის, აგრეთვე დაპირისპირებულ გარემოსა და გათვლებისთვის ინფორმაციული ბაზის უკმარისობის გამო, არ გამაჩნია არგუმენტები, ვისაუბროთ ანაკლიის პორტის მიმართ ინვესტორების ეკონომიკური ინტერესის, საქართველოს ეკონომიკაში მისი მოსალოდნელი პირდაპირი წვლილის შესახებ. ამიტომ მხოლოდ

## პირდაპირ ვამბობ: ლარის კურსის ასეთი გამყარება ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი არ არის



რომ პროექტი დახვეწილი იქნება შესაძლო ხარვეზებისა და რისკებისგან. ვგულისხმობ იმას, რომ განახლების პროცესი არ იქნება ფასადური, მხოლოდ იერსახის შეცვლის და ფეხების მოსახდენად. ასეთი ილუზიური განვითარება არ უნდა დაბრუნდეს. საქართველოს ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ტურიზმია. ეს აღებული კურსითაც ჩანს, მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ტურიზმი, ეს მრავალმხრივი ინფრასტრუქტურული კომპლექსია. ეკონომიკის თითქმის ყველა დარგი ჩართულია ტურისტის მიღებაში: აეროპორტები, გზები, ტრანსპორტი, სასტუმრო, სარესტორნო, სანაპიროთი ინდუსტრია და ა.შ. ეს დარგი მოითხოვს სოფლის მეურნეობის განვითარებას, კვების პროდუქტების წარმოებას. ტურიზმის უცხოური პროდუქცია, მომსახურების ინსტრუმენტები და ინვესტიციები

ნელა იმითაცაა განპირობებული, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე ის იქნება პირველი ღრმადი პორტი, რომელიც შეძლებს დიდი ზომის გემების მომსახურებას და, თანამედროვეობა ითქვას, ამ მხრივ, მას მთელი სამხრეთი კავკასიის რეგიონისთვისაც სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება. მისი ფუნქციური დატვირთვა დაწესების შემდეგ, კიდევ უფრო იზრდება, რამდენადაც, მთლიანი აზიის უსაფრთხო, უმოკლესი სატრანსპორტო კავშირი ევროპასთან აქ ფოკუსირდება. ფოთთან, ბათუმთან ერთად კონკურენციის, აგრეთვე დაპირისპირებულ გარემოსა და გათვლებისთვის ინფორმაციული ბაზის უკმარისობის გამო, არ გამაჩნია არგუმენტები, ვისაუბროთ ანაკლიის პორტის მიმართ ინვესტორების ეკონომიკური ინტერესის, საქართველოს ეკონომიკაში მისი მოსალოდნელი პირდაპირი წვლილის შესახებ. ამიტომ მხოლოდ

ზოგადი მოსაზრებებით შემოვიფარგლები. უდავოა, რომ ანაკლიის პორტს სამხრეთ კავკასიაში მთავარი სატრანსპორტო კვანძის, მასსადაც, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობის პოტენციალი გააჩნია. მორიდების გარეშე გეტყვი, რომ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“ გამგებლობაში პორტის ფუნქციონირება კორუფციულ გარიგებებში ჩაიბრუნებოდა და განხორციელების პერსპექტივაც ნაკლები იყო (ან ისეთი, როგორც ხაზარაძემ დაიქანდა, თავისი კაპტალი სრულად წაღწევაში გადაიტანა და „აყვავა“). პოლიტიკურ და უსაფუძვლო ბრალდებებს არ მინდა, მიეწეროს, თუმცა ფაქტია, რომ კონსორციუმმა პროექტისთვის საჭირო სახსრების მოზიდვა ვერ შეძლო და მასთან დაკავშირებულ



ბოლომდე შეინარჩუნოს საკონტროლო პაკეტი და მისი ნაწილობრივ ან სრულად ინვესტორისთვის დათმობა მოუწევს. აქ კი ნამდვილად სიფრთხილე და წინდახედულობაა საჭირო, რათა პირდაპირ თუ ირიბად, გადაწყვეტილების მიღების უფლება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ განწყობილი გუნდის ხელში არ აღმოჩნდეს.

— საქართველოს მთავრობა სამოქმედო გეგმაში მთავარ აქცენტს საწვავისა და სურსათის ფასების კლებაზე აკეთებს. მედიკამენტები 70-80%-ით გაიფხვრა, პურის ფასმა 10 თეთრით დაიკლო. 2021 წლის გაზაფხულის მერე, წელს ყველაზე დაბალი — 5,3% ინფლაციის მაჩვენებელი გვაქვს. ხელისუფლების თქმით: მთავარი მიზანი ამ ნიშნულის შენარჩუნებაა. რა არის ფასების შემცირების მიზეზი? ეს რამდენად აისახა მიმდინარე ინფლაციური პროცესზე? ზოგადად, რა საფრთხეს ხედავთ ფასების კლებაში და რამდენად შეინარჩუნებს სტაბილურობას შემცირებული ფასები?

— ურთულეს და ყველასათვის მტკივნეულ საკითხს ვეხებით. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მარტივი არ არის. მრავალმა ხელიწვერა პრობლემასთან გვაქვს საქმე და საგანგებო ინტერვიუში მისი ამომწურავად გადმოცემა ვერ მოხერხდება.

ზოგად ასპექტში გეტყვით, რომ ფასები, ფასწარმოქმნა, ინფლაციური პროცესები მთლიანად ბაზარზეა დამოკიდებული. საბაზრო ურთიერთობების მომხრეები სახელმწიფოს ჩარევას ამ პროცესებში დაუსვებლად მიიჩნევენ — ჩვენ დიდი ხანია, უარი ვთქვით სოციალისტურ იდეოლოგიასა და ფორმაციაზე. დიდი რევოლუცია დასჭირდა სოციალისტური და საბჭოთა წყობის დამყარებას. მერე, რევოლუციითვე დაემხო მუშურ-გლეხური პროლეტარიატის დიქტატურა. უდავოა, ამაში იყო განვითარების ლოგიკა და მიზანშეწონილობა. სოციალისტურ იდეებს კაცობრიობა ბევრჯერ დაუბრუნდება, თუმცა, უკან დაბრუნების არანაირი საჭიროება და არც საფუძველი არ არსებობს.

პროდუქციასა და მომსახურებაზე ფასები წლიდან წლამდე იზრდება და ეს მარტო ჩვენი ქვეყნის პრობლემა არ არის.

სწორად შენიშნეთ, რომ მარტის თვეში წლიური ინფლაციის დონე 5,3 % იყო. ვერ უარვყოფ, ეს საქსტატის მონაცემებია. ისიც მართალია, 2021 წლის გაზაფხულის შემდეგ ეს ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ყველაფერზე ფასებმა დაიკლო და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია. რადაცაზე ფასებმა მართლაც დაიკლო, რადაცაზე — მოიმატა. წინა წელთან ან წინა თვესთან შედარებით, ეს, შესაძლოა, საგრძობი არ იყოს. საერთოდ კი ფასების საერთო საშუალო დონე ნელ-ნელა იზრდება. ეს აშკარად შესაძენეა, თუ შედარებისთვის უფრო ხანგრძლივ პერიოდს ავიღებთ. ვთქვათ, ავიღოთ 2000 წლის დასაწყისი ან 1988 წელი. ნებისმიერ პროდუქტზე ფასები ისეა გაზრდილი, დაგბურბლავს! როგორც ვთქვი, ეს მრავალ ფაქტორსა და გარემოებაზეა დამოკიდებული.

დღეს ყველა სფერო (პოლიტიკა, კულტურა, მედიცინა, სხვა შემსახარო დარგები) ბიზნესად იქცა. ეს ჩვენ ვაპირებამთ მას სოციალურ პასუხისმგებლობას, თორემ ბიზნესს მხოლოდ ერთი უზენაესი დანიშნულება — მაქსიმალური მოგების მიღება ასაზრდოვებს. ამ უზენაესი დანიშნულება არ იცის ნათქვამი, ახლოვალნი, ზნეობა და ღირსება. სხვა შემთხვევაში, ბიზნესი არ არსებობს, კორუფცია და ქრება. ინვესტიციები იმ სფეროში იდება, რომლის პროდუქტზეც არსებობს მოთხოვნა და მოგების მიღების ალბათობა მაღალია.

ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობები, რომელიც ავირჩიეთ და არ გვეთმობა, სოციალისტურისგან სრულიად განსხვავებულ ფასწარმოქმნის საწყისს ამკვიდრებს.



რებს. თან ძველს მივტიროდეთ და თან ახალს ვუჭერდეთ მხარს, ასე, უბრალოდ, არ გამოვა.

ერთი მხრივ მართლაც ასეა: მოხმარება და მიწოდება, მიწოდებისა და მოხმარების თანაფარდობა განსაზღვრავს პროდუქციის ფასს. მთავრობას რაში უნდა უსაყვედურო — ის არ უშვებს პროდუქციას და არც ფასებს ადგენს. სახელმწიფოს სხვა ფუნქცია აქვს: უზრუნველყოს განვითარების პირობები, შემოიღოს და აღასრულოს კანონები, რომლებიც ადამიანის მოთხოვნებს, მათ შორის, საცხოვრისსა და არსებობაზე უფლებებს განუზრვლად დაიცავს. ფასები, რა თქმა უნდა, ამ უფლებების ირიბი გამოხატულებაა, მაგრამ ჩვენ სტალინის ეპოქაში არ ვცხოვრობთ.

რამდენი ხანია, რაც გასამართ სადგურებზე საწვავის ფასი ნაეთობის მსოფლიოს წამყვან, ლონდონისა და ნიუ-იორკის სანაეთობო ბირჟების ფასებთან და საქართველოში მოსახლეობის შემოსავლებთან, შეუდარებლად მაღალია. მაგრამ ამის გამო მანქანების რაოდენობა, არც ნაკადი, არ შემცირებულია. მეტიც, მასშტაბური პროტესტიც არავის გამოუხატავს. ეს ნიშნავს, საწვავი არის, სჭირდებათ და იყიდება. ჩვენ მოგვწონს თუ არა, ბაზარმა ეს პრობლემა ასე მარტივად თავად დაარეგულირა.

უფრო რთული ვითარება იყო მედიკამენტებზე და სამედიცინო მომსახურებაზე. აქ სამედიცინო პრეპარატების მწარმოებელი, შემომტანი, დამნიშნავი და მომხმარებელიც ერთი და იგივეა — ერთ კარუსელზე ბრუნავს ყველა პროცესი და ფასსაც ის ერთი აწესებს. ეს ნამდვილი უბედურება და ანომალიაა.

მართალია, ინფლაციას სხვა

საწყისები გააჩნია, თუმცა ფასებთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული გარემოებები ინფლაციის ხელშემწყობი ფაქტორებია.

დამიჯერეთ, ეს ფაქტორები და გარემოებები სახელმწიფოს არ აწუხებს. ლიბერალური ეკონომიკა არ ცნობს სახელმწიფოს როლს, ან ეკონომიკაში მის მხოლოდ მინიმალურ ჩარევას ემხრობა. ჩვენ გვინდა, რომ ჩაერიოს და ფასები არეგულიროს?

ფასების მატება არ უშლის ხელს ბიუჯეტის შემოსავლების შესრულებას, არც ხარჯვით ნაწილს, რაზეც ხელისუფლებას პასუხს სთხოვენ და ბიუჯეტის შემოსავლებისა და გასაჯვლების შეუსრულებლობა მისი იმპიჩმენტის საფუძველიც შეიძლება გახდეს. შემოსავლები ახალი ფასებიდან აითვლება, ხოლო ხარჯვითი ნაწილი დამტკიცებულ ბიუჯეტს

რებში არსებული გამოწვევების მარეგულირებელი კორექტივების შეტანას საჭიროებს.

ფაქტობრივად, ყველა გრძნობს, რომ არც მედიკამენტების ფასების შემცირებაზე მთავრობის მიზანმიმართული მეცადინეობა აღმოჩნდა საკმარისი ამ სფეროში წესრიგის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის დასაწყისიდან მედიკამენტებზე რეფერენტული ფასები დაწესდა, სახელმწიფო ადგენს პრეპარატების ღირებულების მაქსიმალურ ზღვარს, რომელზე მაღალ ფასსაც მათი გაყიდვა იკრძალება, თურქული ბაზრის გახსნამ და ზღვრული ფასების დაწესებამ გარკვეულწილად იმოქმედა ბაზარზე, ქრონიკული და ონკოლოგიური დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებზე ფასები საგრძობლად შემცირდა, სხვა წამლებზე ფასე-



ბი კვლავ მაღალია. აკრძალვებით და შეზღუდვებით მდგომარეობას მხოლოდ დროებით, ილუზიურად თუ ეშვებება. პრობლემა სისტემურად უნდა გადაწყდეს!

გარკვეულად კრიტიკულ მომენტებში, საწვავის ფასები რამდენიმე დღით, უმნიშვნელოდ — 5-10 თეთრით ეცემა. მაგრამ შესაძენეა, რომ ყველა კომპანიის ნებისმიერ გასამართ სადგურზე ფასები თანაბარია, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ კომპანიებს შორის არსებობს შეთანხმებები და ფასები ხელოვნურად რეგულირდება.

ცხადია, არსებობს საწვავზე ფასების შემცირების ალტერნატივა — წყალზე მომუშავე ან ელექტრომობილური მანქანებზე გადასვლა. მაგრამ ეს უფრო დიდი და სხვა მასშტაბის, გადასაწყვეტად დროში გაწეილი პრობლემაა. მედიკამენტებზეც შესაძლოა ალტერნატივების გამოძენა. პურზე ფასის დაწევა ხორბალზე ფასის შემცირებამ განაპირობა. ეს მოთხოვნადი პროდუქტი შეიძლება კიდევ უფრო გაიფხვდეს, თუ ჩვენ ხორბლის და, საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო წარმოებას წავახალისებთ და იმპორტიორების ინტერესებს მკაცრად გავაკონტროლებთ. ამისთვის რესურსებით, რა თქმა უნდა, არსებობს.

ჩვენ დღეს ინტეგრირებული მსოფლიოში ვცხოვრობთ. გლობალიზაციის პროცესში უწყვეტად მიმდინარეობს და მას ვერაფერი შეაჩერებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ბარამ უაქტიურობი ჩვენს მკონოშიაყამ, მათ შორის, ფასებზეც აისახება. ამიტომ ფასების სტაბილურობა ბარამ არაპრობნოზირებად პროცესებადაც დიდად არის დამოკიდებული.

— ლარის კურსის გამყარებაზეც უნდა გკითხოთ. ლარი კვლავ გამყარებას განაგრძობს და ეს ტენდენცია მთავრობის გამართულ საქმიანობას მიეწერება. რა რისკებთან არის დაკავშირებული ეროვნული ვალუტის გამყარება და ეს რამდენად გრძელვადიანი ტენდენციაა?

— ლარი, ეროვნული ვალუტა ცოცხალი ორგანიზმივითაა. ის მყისიერად რეაგირებს ეკონომიკაზე მოქმედ გარემოებებზე და ეს ნორმალურია, ე.ი. ჯანსაღია. მცირე ცვლილებები მისაღებია და განსაკუთრებულ ეკონომიკურ რყევებს არ იწვევს. საგანგაშოა, როცა ლარი მკვეთრად უფასურდება ან მასშტაბურად მყარდება. ლარის კურსის მართვაზე პასუხისმგებლობა ეროვნულ ბანკს აკისრია, მაგრამ კურსის ცვალებადობა მხოლოდ ეროვნული ბანკის განწყობაზე არ არის დამოკიდებული. ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობა, ფულადი ნაკადების სხვა წყაროები, გარე ფაქტორები, რომელსაც ეროვნული ბანკი ვერ მართავს, ლარზე მნიშვნელოვნად აისახება. ამიტომ ურთიერთგადაბრალების მექანიზმიც მოქმედებს და კურსის ცვლილების გამო არც ეროვნული ბანკი ისჯება და არც მთავრობა.

ლარის კურსთან მიმართებაში ყოველთვის არსებობდა და ახლაც არსებობს მის ხელოვნურ რყევებზე ეჭვები. არ შემიძლია, უარყოფო ან დაეადასტურო ამ ეჭვების საფუძვლიანობა. ცხადია, მათ არსებობის უფლება აქვთ, მით უფრო, მისი მკვეთრი გაუფასურება და არც გამყარება არ იყო რეალურ ფაქტობრივ გარემოებებთან შესაბამისი. აი, თუნდაც დღეს, როცა 1 აშშ დოლარის ღირებულება 2,5140 ლარი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკონომიკის ზრდის სტატისტიკური ტენდენცია არსებობს, ასეთი გამყარების შესაბამისი ეკონომიკური პარამეტრები არ იგრძნობა. ეჭვებზე მსჯელობა ჩვენ შორს წავიყვანს. ვილაპარაკოთ იმაზე, თუ რა შედეგს იძლევა ლარის კურსის ასეთი გამყარება. პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ეს ეკონომიკის განვითარებისთვის კარგი არ არის. ისევე, როგორც ლარის კურსის არარეალური ვარდნა. ასეთი მკვეთრი გამყარებაც საზიანოა. ჭარბი ფულის მასის შემოდინება მეტი იმპორტული საქონლის იაფად შექმნის შესაძლებლობის გაჩენას იწვევს, რაც ქვეყნის შიგნით პროდუქციის წარმოების მოტივაციაზე ნეგატიურად მოქმედებს, ექსპორტიც კლებულობს. საქმე ისაა, რომ გასულ პერიოდში ლარის მკვეთრი გაუფასურების გამო ბაზარზე ჩამოყალიბებული ფასები ასეთივე ჩქარი ტემპით არ იკლებს, ამიტომ პროდუქციის წარმოება ძვირი ჯდება. მისი საქსპორტო გატანისგან მოგება მკვეთრად ეცემა და ეკონომიკურ განვითარებას საფრთხე ექმნება. ამიტომ ლარის კურსის მკვეთრი, უსაფუძვლო გამყარებას იმედინად ნუ შევხედავთ და ნურც დამსახურებლად მივითვლით. ამაზე, შესაძლოა, მეტი ზიანი მოიტანოს, ვიდრე ეს წარმოგვიდგენია.

თამარ შველიძე 555 23 28 24

(ბაბრქიძეა. დასაწყისი „სა“ N11)

ჯაფირის საფლავი

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ „ქართლის ცხოვრების“ ჩანაწერებში აღწერილია თრიალეთის ქედთან ახლოს, ატენის ხეობაში, ახლანდელ სოფელ დიდ წერეთში დაკრძალული ჯაფირის ამბავი, რომლის საფლავის სიგრძე ხუთი აღლია.

ინფორმაციის მიხედვით, ჯაფირი გოლიათი იყო რომელიც ადამიანებთან ცხოვრობდა. გადმოცემით, მის ერთ წინდაში ოცდახუთი კილო მარცვლეული უტეოდა, ვანშმაღ კი ერთი ცხვარი არ ჰკმაროდა. ჯაფირს თავისნაირივე აღნაგობის ცოლი ჰყოლია, ანუ საუბარია ჩამოყალიბებული გენის არსებობა და არა ფიზიკური ანომალიის გამო „გამაღლებულებზე“.

ვედემ“ ჩაიდინა, რომელმაც დიდძალი არტეფაქტები და მნიშვნელოვანი ინფორმაციის შემცველი წიგნები გაზიდა საქართველოდან. მართლაც, „ენკავედე“ წითელი საბჭოეთის პარტიული ორგანო იყო და მაშინდელი საზოგადოებრივი ხაზი ერთმნიშვნელოვნად გამოიხატავდა ყოველივე ზებუნებრივსა და ანომალიურს, მაგრამ ჰყავდათ სპეციალური ჯგუფები, რომლებიც მსგავსი მასალების მოძიებას მთელი სსრკ-ის მასშტაბით ახორციელებდნენ, ანუ არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ ჯაფირისა და მისი მეუღლის ძვლებიც მათ სამართლმემკვიდრესთან „ინახება“...

ქრალ ვულკანზე აღმართული. ეს არის ყოველგვარი დუღაბის გარეშე ნაშენი ქვის ქალაქი სახლებით, ქუჩებით, მოედნებით, სათავსოებით და ციტადელით, რაც მთლიანობაში ნიჭიერად დაგეგმილი საფორტიფიკაციო ნაგებობაა.

ციხე გრანდიოზული და რთული დაგეგმარებისაა. მთის სამხრეთი კალთა მორეხებითა დაფარული. ამით უსაგებლიათ დალოდების მცირე გადაადგილებით მიუღიათ ისეთი დარან-სამალავები, რომლებსაც ვიწრო და დაბალი შესაძვრომი აქვთ, საკმარისია სამალავზე ერთი ლოდის აფარება და ყველაფერი შეუმჩნეველი ხდება, არაფრით გამოირჩევა ქვის



# ხაითაბი - ალაპარაკებული ქვები



თანასოფლელების თხოვნით, ჯაფირს მონაწილეობა მიუღია სოფლის ეკლესიის მშენებლობაშიც. ეკლესიას ატყვია „ჯაფირის კვალი“ — ეკლესიის კედელში, მიწიდან დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეზე, პატარა ქვების წყობის შემდეგ მოდის ლოდების წყება. როგორც წესი, ლოდები შენობის საფუძველში დევს, აქ კი სწორედ ჯაფირის სიმაღლეზეა შემოწყობილი.

რაც შეეხება ჯაფირის საფლავს, არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა, რომ საფლავი მართლაც პრეჰისტორიული სამარხი იყო (ნაპოვნია თიხის ქურჭელი და ნემსი), თუმცა, საფლავი უკვე განათხრელი (კულტურული ფენები არეული იყო და საფლავის ზოგი ქვა ჩატრიალებული) დახვდათ და ძვლები მოპარული.

ვის და რაში შეიძლება დასჭირვებოდა გოლიათების სამარხის გათხრა და მისი (მათი) ძვლების დამალვა? ამ მხარეში ხომ მანამდე არ ჩატარებულა არც ერთი ოფიციალური არქეოლოგიური ექსპედიცია;

არქეოლოგებს რომ გაეთხარათ, პირველი გათხრის წესი დარღვეული არ იქნებოდა;

თუ განძის მაძიებლებმა გათხარეს, მათ არაფერში სჭირდებოდათ ძვლები და იქვე დატოვებდნენ.

არსებობს დაუდასტურებელი ეჭვი, რომ ეს მაშინდელმა „ენკა-

ამბავი გოლიათებზე და მათი „საძვალე“ ადგილებიც სვანეთშიც არის შემონახული, სადაც ადამიანებს თავიანთი მიცვალებულების დაკრძალვა აკრძალული აქვთ. სვანეთში გოლიათების მოდემას „ბუშებს“ უწოდებდნენ. გადმოცემის მიხედვით, ისინი ადამიანების გვერდით ცხოვრობდნენ, წარჩინებულთა კასტას მიეკუთვნებოდნენ და ადამიანებს მფარველობდნენ, მაგრამ შემდეგ სოფელზე გაბატონების გამო გოლიათები ამოხოცეს (ასახელებენ კონკრეტულ გვარსაც, აფრასიძეებს). ამბობენ, რომ სიმაღლითა და ძალით გამოირჩეული ბუშები ცოდნასთან ერთად მშენებლობის საოცარ ტექნიკასაც ფლობდნენ და მათი ნაშენია როგორც მეგალითის ხანის ნაგებობები, ისე — სვანური კოშკებიც.

### მეგალითის ხანის ნაგებობები

საქართველოში მეგალითური ნაგებობებს დევების ნასახლარებად, ქვაკაცებად მოიხსენიებენ. ისინი მრავლადაა წარმოდგენილი საქართველოში, განსაკუთრებით აფხაზეთში, რომელთა უმეტესობა, ხშირ შემთხვევაში, ძვ. წ. XIV-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება.

ყველაზე საინტერესოა ჯავახეთში, აბულის მთაზე მდგარი მეგალითი, ე.წ. აბულის ციკლოპური ციხე, რომელიც ზღვის დონიდან 2670 მეტრზე მდებარეობს. ის უკაცრიელ ადგილზე, ჩამ-

საერთო მასისგან. სიმაგრეს წყაროც გადმოუდის, რაც, სავარაუდოდ, კიდევ უფრო გააძლიერებდა ციხის თავდაცვისუნარიანობას.

მეც ვიყავი აბულის მთაზე, რათა საკუთარი თვალით მენახა და დამეთვალაყრებინა დევების ნამოსახლარი. ვინაიდან ჩვენ გზას ვერ მივაგნებდით გაუკვალავე მთაში, ადგილობრივი სომეხი ახალგაზრდა წავიყოლეთ (ადგილობრივებად 1915 წლის შემდეგ იქცნენ, თორემ მანამდე სომხებმა რა იცოდნენ, საით იყო სამცხე-ჯავახეთი). როგორც აღმოჩნდა, არც ის სომეხი ახალგაზრდა ყოფილა არასოდეს „მაღლა“, მაგრამ გადმოცემით ბავშვობიდან იცოდა, რომ „იქ, ზევით“, ოდიტგანვე ცხოვრობს დიდთვალა და დიდპირიანი დიდი კაცი, რომელიც ადამიანებს ჭამს“. სიცილით ჩავემიე: ყველას ჭამს თუ მხოლოდ ბავშვებს-მეთქი (ვიფიქრე, პატარებს აწინებენ, სახლიდან შორს რომ არ წავიდნენ-მეთქი), არა, ყველას ჭამენო...

აბულის ციხემდე მისასვლელი დამრეცი სივრცე ვულკანური წარმოშობის ლოდებით არის დაფარული. ცხადია, ვებერთელა ლოდებზე ადამიანი ვერ ივლის, უნდა იხტუნაოს და ისე მიაღწიოს ნაგებობამდე. ვებერთელა ლოდებს შორის, ზოგან, ისეთი დაშორებებია, ხტუნვისას, შეიძლება, ფათერაკი შეემთხვეს ადამიანს — მე მხოლოდ ცალი ფეხი ჩამივარდა ნაპრალში... მეორეც რომ ჩამყოლოდა, ვეღარავინ ამომიყვანდა იქიდან...

მსგავსი მეგალითები მრავლადაა საქართველოში, სადაც თითოეული ლოდი 2-3 ტონაზე მეტი სიმძიმისაა, რაც კითხვებს ბადებს: ვისი დახმარებით, ვისი მიბაძვით, ვის წინააღმდეგ, ან რა ტექნიკის საშუალებით აგებდა ადამიანი, მაშინდელი დიარსული ამ ნაგებობებს, როცა მხოლოდ ბრინჯაოს ცული და მწირი ცოდნა ჰქონდა?

სამხრეთ ამერიკაში, ტიტიკაკას ტბის მახლობლად, ზღვის დონიდან 4 ათასამდე მეტრის სიმაღლეზე დღესაც დგას მეგალითი „გიგანტთა ქალაქი“. საინტერესოა და საკვირველია, რომ არქეოლოგებმა ასეთ სიმაღლეზე ზღვის კვალს მიაგნეს. ქალაქი საპორტო ნაგებობას წარმოადგენს, მაგრამ, ამ შემთხვევაში, იმით არის საინტერესო, რომ კლდეში ნაკვეთია

ორი კიბე იმხანად იქ მცხოვრები (ალბათ, სტუმრებისთვისაც) გიგანტი და ტანმორჩილი „მოქალაქეებისთვის“.

ბუნებრივია, გაჩნდა მოსაზრება, რომ პირამიდები იქნება თუ სტოუნჰენჯი, ყველა დიდი ნაგებობა გიგანტური ადამიანების რასის აშენებულა, რომლებიც უდიდეს ფიზიკურ და სულიერ ძალას ფლობდნენ. A დაუშვით, ეს ყველაფერი ზემოთქმული, მართლაც ასეა, აქედან გამომდინარე, უფრო მეტი კითხვა ჩნდება, ვთქვათ: ადგილის კუნძულის ქვის გიგანტური ქანდაკებები კოლხური (მეგრული) თავსაბურავებით, კუნძულის პირველი მეფეების პირდაპირი ასლენი ხომ არ არის ზომების დაცვით?

სხვადასხვა მიმართულების მეცნიერების მიერ აქამდე აღმოჩენილი, გამოფრული თუ დადასტურებული დასკვნები, მხოლოდ მოსაზრებები და ვერსიები რომ შევაჯგუროთ, რა გამოდის, რომ ადამ და ევამდე არსებობდნენ უფრო ძველი ხალხები, ცის ღმერთის, ანის შვილები — ანუ კოლხები?

რაც შეეხება მითიურ ტიტანებსა და გოლიათებს, ჩავთვალოთ, რომ მართლაც მიწიერი ბუმბერაზები იყვნენ, ადამიანების გვერდზე ჩვეულებრივ ცხოვრობდნენ და სულაც ადამიანებისა და მათი თავდაპირველი წინაპრის შთამომავლები იყვნენ, ვინ იგულისხმება „ღმერთებში“, რომლებსაც ისინი ებრძოდნენ, ზოგჯერ ამარცხებდნენ კიდევ და ის „მეხთამტყორცნელი“ ღმერთები მაშინაც ციდან რატომ მოდიოდნენ?

### ქასიჭაშია გიგანტები

მეცნიერებს ისიც ვერ გაურკვევია, ვინ იყვნენ, საიდან და რატომ მოვიდნენ დედამიწაზე პირველი გიგანტები (უფრო მომცროები, 3-7 მეტრი, ან მეტი სიმაღლისა, ჩავთვალოთ, რომ ადამიანებთან შეწყვილების შედეგად დაპატარავდნენ), ამას თავსატეხად დაერთო, რომ გიგანტების ცალკე კატეგორიაც ყოფილა, გიგანტი წითური კაციჭამიები.

ამერიკელ ინდიეთა ტომმა, პაიუტებმა, გადმოცემით იციან, რომ შორეულ წარსულში მათი წინაპრები გამუდმებულ ბრძოლებს აწარმოებდნენ მტაცებელ, მოხტუნავე თეთრ-წითურ გიგანტებთან, რომლებიც ადამიანებს იტაცებდნენ და ჭამდნენ. მათი სიმაღლე

12 ფუტს (4,8 მეტრი) ან მეტსაც აღწევდა და როგორც ჩანს, ისინი იქ შემდგომში კი არ გაჩნდნენ, არამედ მანამდე ცხოვრობდნენ. ისინი გიგანტებს „სი-ტი-კა“-ს უწოდებდნენ. მათი თქმით, ყველა ტომი გაერთიანდა, რათა წითური გიგანტები გაენადგურებინათ. ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ შემორჩენილ წითურებზე ნადირობდნენ, გაქცეულმა გიგანტებმა გამოქვაბულს შეაფარეს თავი, რომელსაც პაიუტებმა გარედან ცეცხლი შეუნიფეს და აიძულებდნენ, დაეტოვებინათ გამოქვაბული. ვინც გამოვიდა — დახოცეს, შიგნით დარჩენილები კი გაიგუდნენ. მოგვიანებით გამოქვაბული მიწისძვრამ ჩახერგა.

თორმეტ ფუტამდე სიმაღლის წითური გიგანტების არსებობას ადასტურებს პალეონტოლოგიური მატრიანები და გათხრების შედეგად აღმოჩენილი უამრავი არტეფაქტი.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის წითურ გიგანტებზე, რომლებიც გამოთვლის მიხედვით, მამონტების ამოწყვეტამდე დიდი ხნით ადრე შიშის ზარს სცემდნენ ადამიანებს, ბევრი არაფერია ცნობილი. ნამარხების მიხედვით, მათ ეცვათ საშუალო ზომის პერანგები და შარავნი, რომლებიც მუხლებთან ფართოდებოდა. ქურქი ცხვისას წააგავს, მაგრამ თანამედროვეობისთვის უცხო ცხოველს ეკუთვნის. „წითურები“, სხვა გიგანტების მსგავსად, სხვა რასა იყო თუ არა, გაურკვეველია.

წლების წინათ არქეოლოგიური გათხრების დროს ჩრდილოეთ ჩინეთშიც აღმოაჩინეს 22 გიგანტის სამარხი. ყველა მათგანი თითქმის 12 ფუტი სიმაღლის იყო და შერჩენილი ჰქონდათ წითური თმა.

მეცნიერთა ერთი ჯგუფი დაბეჯითებით ცდილობს, დაამტკიცოს, რომ 1890 წელს ეგვიპტეში აღმოჩენილ ქვის სარკოფაგში, თიხის „კუბოში“ ორმეტრიანი ქალის მუმიამ ესვენა მცირეწლოვან გოგონასთან ერთად და მისი აღნაგობა არ ჰგავდა ადამიანისას. ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ დედა-შვილი წითურთმიანები იყვნენ, ადრინდელი დიარხის მოსახლეობა კი სწორედ მოწითურო-ქერათმიანი იყო. ხომ არ ნიშნავს ეს განაცხადი, რომ დიარხელები დედამიწელები არ იყვნენ?

მაკა ჯაყელი

(ბაბრქიძეა იმნება)

# საქართველოს ინჟინერებისთვის ბრძოლა ყველა ჩვენგანის ვალდებულებაა

გვესაუბრება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრობის კანდიდატი, უფლებადამცველი ბრიგადის ბანნიძე:

— ბატონო გრიგოლ, ბოლო პერიოდში ე. წ. ოპოზიციის მხრიდან გაზვიადებული მოსამართლეებზე და, საერთოდ, სასამართლო სისტემაზე, თქვენ უშუალო კავშირი გაქვთ სასამართლო სისტემასთან. როგორ შეაფასებთ დღეს რეალურად არსებულ ვითარებას?

— დავიწყოთ იმით, რომ ნაცრევიძის პერიოდთან შედარებით, საგრძობლად გაიზარდა სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა. ამის შესახებ თავად ადვოკატები ხმამაღლა საუბრობენ და ამით ამაყოფენ კიდევ. აქედან კარგად ჩანს, რომ დღეს სასამართლო სისტემა აბსოლუტურად დამოუკიდებელია, აღარ არის ჩამოკიდებული იუსტიციის სამინისტროს და პროკურატურას. ნაცრევიძის დროს მოსამართლეებს ის განაჩენები გამოჰქონდათ, რასაც ხელისუფლება ითხოვდა. უმაღლესი სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილი ამაყოფა გამამტყუნებელი განაჩენების რაოდენობის მატებით. ნაცრევიძის დროს რამდენიმე მოსამართლე დააკავეს, რითიც მოსამართლეებში შიში დანერგეს და ისინი თავიანთი კავლების ქვეშ მოაქციეს. 2012 წლის შემდეგ ხელისუფლებამ მოსამართლეებზე საჯაროდ განაცხადეს. ახლაც თითქმის იგივე მეორდება —

მოქმედებდა შეკრებითობის პრინციპი, რის გამოც ერთი დანაშაულისთვის ადამიანს რამდენიმე მუხლით ასამართლებდნენ და ხანგრძლივი ვადით უშვებდნენ ციხეში. დღეს სტრასბურგში გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა ორ ასეულამდეა, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმისა, რომ საქართველოში სასამართლო სისტემა უფრო დამოუკიდებელი და სამართლიანია, ვიდრე ნაცრევიძის დროს.

— აქვე გეტყვით, რომ პროკურატურამ და პოლიციამ 180°-ით შეცვალეს მუშაობის სტილი და ბევრად ჰუმანურ გადაწყვეტილებებს იღებენ. ამიტომაც წინანდელი ვადებიანი განაჩენები ციხეში დიდი ხნით აღარ ხვდებიან.

— ნაცრევიძის დროს ვერც თავად ადვოკატები გადაურჩნენ რეპრესიებს...

— მართალი ხართ, ნაცრევიძის დროს 160 ადვოკატი დაიჭირეს და გაასამართლეს. აქედან უმრავლესობა, უსაფუძვლოდ. თუმცა მაშინ, ფაქტობრივად, ტოტალური ტერორი მიმდინარებდა ქვეყანაში. ადვოკატების დაჭერა-გასამართლებით მოსახლეობაში საყოველთაო შიშის დანერგვის ცდილობდნენ. წარმოიდგინეთ, როდესაც ქვეყანაში 160 ადვოკატს ასამართლებენ, რა უნდა იფიქროს ჩვეულებრივმა მოქალაქემ, ვინდა შეძლებს მისი უფლებების დაცვას?

— ბატონო გრიგოლ, BBC-მ გამოაქვეყნა ჟურნალისტური გამოძიების მასალები, რომელთა საფუძველზეც ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი საერთაშორისო



სასამართლომ უნდა თქვას გამამტყვევებელი სიტყვა.

— დღეს გაიზარდა თუ არა ადვოკატის როლი სასამართლო პროცესში? თავდაცვითი ადვოკატი, რომ ნაცრევიძის დროს მოსამართლეები არ ითვალისწინებდნენ დაცვის მხარის აზრს და სხვათა მითითებებს ასრულებდნენ...

— ადვოკატების უფლებები დღეს მნიშვნელოვნად გაზარდილი. თუა წულუკიანის იუსტიციის მინისტრობის პერიოდში, 2014 წლიდან, კანონები მნიშვნელოვნად შეიცვალა, რამაც სასამართლო პროცესში მხარეებს შორის შეჯიბრებითი ხარისხი გაზარდა. გაუქმდა შეკრებითობის პრინციპი. ახლა სასჯელის შთანთქმა მოქმედებს, რაც ადვოკატებს საშუალებას აძლევს, უკეთ დაიცვან თავიანთი კლიენტები. ეს არსებული ხელისუფლების ერთ-ერთი მიღწევაა. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო არასრულწლოვანთა მიმართ კანონში შეტანილი ცვლილება. ადრე 14-15 წლის მოზარდებს ხანგრძლივი ვადით ამწესებდნენ ციხეში. წარმოიდგინეთ, 2010 წლის მონაცემებით, 230 არასრულწლოვანი იხდიდა ციხეში სასჯელს. ახლა მათი რაოდენობა მხოლოდ რამდენიმე ათეულია, რადგან სასჯელის განრიდების მექანიზმი ამოქმედდა, ანუ ეკონომიკური სახის დანაშაულის პირველი შემთხვევისას არ იჭერენ. დღეს მკაცრი კანონები აღარ არის, ნებისმიერს ეძლევა რესოციალიზაციის საშუალება, რაც ძალზე მნიშვნელოვანია.

— რა პოზიცია უნდა დაიკავოს სასამართლო ხელისუფლებამ?

— თუ სასამართლო ხელისუფლება კვლავ განაგრძობს ხალხის გვერდით ყოფნას, ანუ სამართლიან გადაწყვეტილებებს მიიღებენ, მოსახლეობა მათ აუცილებლად გვერდში დაუდგება, ნებისმიერ მოსამართლეს ექნება სხვადასხვა ფორმით მხარდაჭერა, როგორც ხელისუფლებისგან, ასევე საზოგადოებისგან. მთავარი სამართლიანობაა.

— 30 აპრილს დაგეგმილ აქციაში თუ მიიღებთ მონაწილეობას?

— აუცილებლად დავესწრები და მოსახლეობასაც მოვეწოდებ, არ დაიზარონ აქციაზე მოსვლა და თავიანთი მონაწილეობით მხარი დაუჭირონ ქვეყნის სტაბილურობას, ეკონომიკურ განვითარებას. საქართველოს ინტერესებისთვის ბრძოლა ყველა ჩვენგანის ვალდებულებაა.

ბიბა ბურდული 551 71 27 07

# 25 აპრილი - დნმ-ის მსოფლიო დღეა

25 აპრილს მსოფლიო საზოგადოებრიობა დნმ-ის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს, რომელიც 1953 წლის 25 აპრილს ბრიტანელი მეცნიერების მიერ დნმ-ის სტრუქტურის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომის გამოქვეყნებას ეძღვნება.

ამ დღეს ბრიტანელმა მეცნიერებმა ჯეიმს უოტსონმა და ფრენსის კრიკმა კემბრიჯის უნივერსიტეტიდან, ასევე მორის უილკინსმა და როზალინდ ფრანკლინმა ლონდონის სამედიკალინური სკოლიდან, ჟურნალ „Nature“-ში გამოაქვეყნეს მსოფლიო მეცნიერების თვალსაზრისით ფუნდამენტური ნაშრომები, რომლებიც დნმ-ის სტრუქტურის შესწავლას ეძღვნებოდა.

პირველად დნმ-ის დღე ამერიკის სენატისა და კონგრესის ქვედა პალატის ერთობლივი გადაწყვეტილებით აღინიშნა დნმ-ის აღმოჩენის 50 წლისთავთან და იმავე წელს Human Genome Project-ის ფუნდამენტური პროექტის დასრულებასთან დაკავშირებით, რომელიც გენომის გაშიფვრას ეხებოდა.

ერთგვარადა ღონისძიებამ ტრადიციის სახე მიიღო. დღეისათვის დნმ-ის ფოველწლიური აღნიშვნის ორგანიზატორია ადამიანის გენომის შესწავლის ამერიკის ნაციონალური ინსტიტუტი. მსოფლიოს სამეცნიერო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებმა 25 აპრილი დნმ-ის საერთაშორისო და დნმ-ის მსოფლიო დღედ გამოაცხადეს.

დნმ-ის აღმოჩენა მეოცე საუკუნის მეცნიერების უდიდესი მიღწევაა.

1962 წელს ჯეიმს უოტსონი, ფრენსის კრიკი, მორის უილკინსი და როზალინდ ფრანკლინი ფიზიოლოგიასა და მედიცინაში ნობელის პრემიის ლაურეატები გახდნენ.

ტრადიციულად, დნმ-ის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ამერიკისა და ევროპის ადამიანის გენეტიკის საზოგადოებები სტუდენტებსა და მათ სამეცნიერო ხელმძღვანელებს შორის გენეტიკის შესწავლის სფეროში ფოველწლიურ კონკურსებს ატარებენ.

ბელა ბველესიანი 568 90 81 22



ყოველგვარი მტკიცებულებების, ფაქტების გარეშე ცალკეული მოსამართლეები კორუფციაში დაადანაშაულა ოპოზიციამ, უფრო ზუსტად, ნაცრევიძის წარმომადგენლებმა. მათი სურვილია, მოსამართლეები ხელისუფლებას დაუპირისპირონ და სასამართლო სისტემა კვლავ თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციონ.

— ამიტომაც შეხვდა ჩვენი ქვეყნის პრემიერ-მინისტრი მოსამართლეებს და მათ მხარდაჭერა გამოუცხადა...

— დიას, ირაკლი ღარიბაშვილმა ტრადიციულად მნიშვნელოვანი და დროული განცხადება გააკეთა. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დღეს სასამართლო თავისუფალია ხელისუფლების მხრიდან ყოველგვარი ჩარევებისგან და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა მათი უფლებების დაცვაში. გავიხსენოთ, ნაცრევიძის პერიოდში ათასობით განცხადება მიდიოდა სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლოში, რაც ნიშნავდა, რომ იმდროინდელი სასამართლოს განაჩენები არაპუბლიკური, არასამართლიანი იყო.

დონეცკის განხორციელებულ ფინანსურ მაქინაციებშია დადანაშაულებული. რას გვეტყვით ამის თაობაზე? ამას იმიტომ გვკითხვით, რომ ჩვენი მოსამართლეები კორუფციაში იმ პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაადანაშაულეს, რომლებიც დღემდე კეზერაშვილისგან ფინანსდებიან.

— ბრალდებები სათანადო ორგანიზაციებმა საგულდაგულოდ უნდა გამოიძიონ. შედაპირულად ვინმეს დადანაშაულებას არ ვაპირებ და არც მსურს. ჩემი აზრით, თუ გამოძიება დადასტურებს კეზერაშვილის დანაშაულს, იმ პოლიტიკარტების და არასამთავრობოების მოქმედება, რომლებიც მოპარული ფულით ფინანსდებიდნენ და ფინანსდებიან, უკანონოდ უნდა ჩაითვალოს. უკანონო და ამორალურია ქვეყნის თავდაცვის სამინისტროდან მოპარული ფულის ბიზნესში გამოყენება. საერთოდ, მიუღებელია მოპარული თანხების საერთაშორისო დონეზე „გათეთრება“. ვინც იმ ფულით ფინანსდებოდა, დანაშაულს უწყობდა ხელს. ამიტომ გამოძიებამ,

# ოლეგ ჟვანია, კასი რომელის დააკლდა ქალაქს

არიან ადამიანები, რომლებიც ქვეყნისათვის ბევრ სასიკეთო საქმეს აკეთებენ, მაგრამ რატომღაც ჩრდილქვეშ ყოფნას არჩევენ. ასეთი გახლდათ ბატონი ოლეგ ჟვანია. მას არ უყვარდა ხმაური, თუმცა არასოდეს ჩამორჩებოდა საზოგადოებრივ ცხოვრებას —



ექიმადგებოდა დაჩაგრულს და მთელი ცხოვრება ასე იცხოვრა. მას ისე უყვარდა თავისი ქვეყანა, რომ დატოვა ექიმის კარიერა რუსეთში და საქმიანობა საქართველოში განაგრძო.

ბ-ნ ოლეგი რეპრესირებული იყო ნაციონალური ხელისუფლების მიერ — გამოგონილი ბრალდებით სასჯელიც მოახდევინეს, მაგრამ არ გატყდა, ბოლომდე ატარებდა ნამუსის ქუდს.

მახსოვს, ძლივს დავიფოლიე, რომ საკუთარი სახელის რეაბილიტაცია მოეხდინა, მიემართა სასამართლოსთვის, რათა გადაესინჯათ მისი საქმე... ისიც მახსოვს, ერთი სიტყვა არ დაცდენია, რომ გამარჯვების შემთხვევაში კომპენსაცია სახელმწიფოსგან მოეთხოვა. ქალაქზე დაწერილი გამარჯვების წაკითხვა არ დაცალდა, ავადმყოფობის გამო ვერ მიდიოდა გამოკითხვაზე...

თავისი სიმართლით ოლეგ ჟვანიას ყველა იცნობდა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იყო კაცი, რომელიც დააკლდა ქალაქს!...

ლევან ჭილაძე

